დიეგო მარადონას და სამხრეთ ამერიკის ორ საფეხბურთო გუნდს თბილისში ვიხილავთ!

ლელო
№ 69
(11 321)
7–9 სექტემბერი, 1999 წ.
ფასი 40 თეთრი
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

რეფერენდუმი

საუკუნის საუკეთესო...

გრძელდება XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელებისა და სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი რეფერენდუმი, რომელიც ტარდება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის თაოსნობით. გამოკითხვის პირველ ეტაპზე პირველი ნომინაციით — საუკეთესო სპორტსმენი ქალები და ვაჟები გამოვლინდნენ. დაწინაურებული, რომელთაც 12 და მეტი ხმა მიიღეს, 15 ქალი და 25 ვაჟია.

გასულ პარასკევს ჟურნალისტთა სახლში ჩატარდა რეფერენდუმის მეორე ეტაპი. მეოთხე ნომინაციაში, რომელიც ერთ ტურად მოეწყო, უნდა გამოვლენილიყო ***„საუკუნის სამი საუკეთესო გუნდი“, „საუკეთესო მწვრთნელი“*** და ***„საუკუნის სპორტული მოღვაწე“***. აი მისი შედეგები:

„საუკეთესო გუნდი“:

1. **1981 წლის თბილისის „დინამო“ (ფეხბურთი) — 204 ქულა**
2. **1992-96 წლების საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრები — 114**
3. **1962 წლის თბილისის „დინამო“ (კალათბურთი) — 104**
4. 1964 წლის თბილისის „დინამო“ (ფეხბურთი) — 28
5. 60-იანი წლების თბილისის „ბურევესტნიკი“ (ხელბურთი) — 13
6. 80-იანი წლების ქუთაისის „აია“ (რაგბი) — 8
7. 70-იანი წლების საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები — 4
8. 1950-54 წლების თბილისის „დინამო“ (კალათბურთი) — 2
9. 1945 წლის საქართველოს მოკრივეთა ნაკრები — 2

მეხუთე ნომინაცია — „საუკუნის მწვრთნელი“ (ერთ ტურად).

1. **ჯიორგი ავალიშვილი (კალათბურთი)**
2. **ნოდარ ახალკაცი (ფეხბურთი)**
3. **მიხეილ თიკანაძე (თავისუფალი სტილით ჭიდაობა)**
4. სულიკო თორთლაძე (კალათბურთი)
5. პეტრე იორდანიშვილი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
6. მიხეილ კეკელიძე (კალათბურთი)
7. აკოფ კერსელიანი (მძლეოსნობა)
8. ვახტანგ კუხიანიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)
9. ბიძინა მაზიაშვილი (ძიუდო)
10. ანდრო ჟორდანია (ფეხბურთი)
11. ნელი სალაძე (მხატვრული ტანვარჯიში)
12. ვახტანგ ჭარსელაძე (ჭადრაკი).

მეექვსე ნომინაცია — „საუკუნის სპორტული მოღვაწე“:

(ერთ ტურად, ანბანის მიხედვით

1. **ვიქტორ გოგლიძე**
2. **ნოდარ გუგუშვილი**
3. **გიორგი ეგნატაშვილი**
4. დიმიტრი იოსელიანი
5. მიხეილ კაკაბაძე
6. გიორგი მერკვილაძე
7. გიორგი ნიკოლაძე
8. გიორგი სიხარულიძე
9. მიხეილ ცხვედაძე

ანკეტებში აგრეთვე დაასახელეს (გვარები მოგვყავს ანბანის მიხედვით): ნანა ალექსანდრია, კახი ასათიანი, ნოდარ ახალკაცი, შოთა ახვლედიანი, ჯანო ბაგრატიონი, არჩილ ბაქრაძე, გაიოზ ბერელაშვილი, ივანე ბოჭორიძე, გურამ გაბესკირია, ნონა გაფრინდაშვილი, სანდრო გვალია, ოთარ გიგინეიშვილი, თენგიზ გიორგაძე, ლევან გიორგაძე, ჯოკია გუგავა, ლევან თედიაშვილი, მიხეილ თურქია, ვლადიმერ კანკავა, მიხეილ კეკელიძე, ისააკ კიზირია, ანტონ ლუკეში, სიმონ მაისურაძე, კაპიტონ ნაჭყებია, ვლადიმერ ნორაკიძე, ბორის პაიჭაძე, ალექსანდრე ფალავანდიშვილი, ლევან ფალავანდიშვილი, გიორგი ჩიკვაიძე, დორმიდონ ჩხიკვაძე, ავთანდილ ციბაძე, დათა ჯავრიშვილი.

19 ოქტომბერს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდება რეფერენდუმის დასკვნითი ტური, გამოცხადდებიან II და III ნომინაციით გამარჯვებული — „საუკუნის სამ-სამი საუკეთესო სპორტსმენი ქალი და ვაჟი“.

გაიმართება აგრეთვე ლაურეატთა დაჯილდოების ცერემონიალი.

ინფორმაცია პირველწყაროდან

გუნდს თბილისში ვიხილავთ!

ფაქსი მოვიდა თბილისში ბუენოს-აირესიდან ჩვენი ქალაქის მერის, ბატონ ვანო ზოდელავას სახელზე. მასში ნათქვამია, რომ არგენტინის საერთაშორისო ტელევიზიის „ფულ პლეის“ დირექტორატი თავის ქვეყანაში არაუგვიანეს 15 სექტემბრისა ინვევს საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციის „კონტაქტ კომპანის“ პრეზიდენტს, ბატონ ნიკო პატარქალიშვილს თბილისში მიმდინარე წლის ნოემბერში საერთაშორისო ტურნირის ჩატარების დაგეგმვასთან დაკავშირებით. განზრახულია ამ საინტერესო ტურნირს დაესწროს მათი სახელგანთქმული თანამემამულე კონკრეტული პროექტებით 39 წელს მიტანებული დიეგო არმანდო მარადონა. როგორც ფაქსი იტყობინება, ზემოხსენებული ტელევიზიის დირექტორი მარიანო ა. ხინკისი ნ. პატარქალიშვილთან ერთად ბუენოს-აირესში გამართავს საბოლოო მოლაპარაკებას და გაფორმდება ხელშეკრულება.


ფაქსი არგენტინიდან

ბატონ ნიკოს მოძებნა მაინცდამაინც არ გაგვჭირვებია, თუმცა „კონტაქტ კომპანის“ გარდა, იგი ახლახან ჩამოყალიბებული კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდის ხელძღვანელიცაა. გარდა ამისა, 1997 წლიდან წარმოადგენს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. სწორედ სფფ-ში მოვიხელთეთ იგი ამ ინტერვიუსათვის.

● ***ბატონო ნიკო, რატომ შეჩერდა არგენტინელთა არჩევანი თქვენზე, ალბათ, ამას რაიმე მიზეზი აქვს?***

– ვფიქრობ, რომ ასეა. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ 1991 წლის დეკემბერში მე არგენტინაში სტუმრად მიმიწვია ქვეყნის კულტურის მინისტრის მოადგილემ ხოსე ლუის კასტინეირა დე დიოსმა, როგორც ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის „კონტაქტ კომპანის“ (იგი სულ ორი თვის ჩამოყალიბებული იყო) ხელმძღვანელი. მოვილაპარაკეთ არგენტინელთათვის ერთ-ერთი ქართული ცეკვის ანსამბლი გაგვეცნო. არჩევანი რუსთავის მოცეკვავეთა ჯგუფზე შევაჩერეთ. ეს იყო 1993 წელს. კომოდორო რივადავიაში კონცერტი გავმართეთ. აქ არ მოვყვები ჩვენი მოცეკვავეების ხელოვნების ქებადიდებას, ვიტყვი მოკლედ: გაოცებულმა არგენტინელებმა გვითხრეს: „სად იყავით აქამდე?! რა კარგი ცეკვები გქონიათ, რა დიდებული ტანთსამოსელი!“. მასპინძლები ამოვიდნენ სცენაზე, ბოდიში მოგვიხადეს, ჩვენი თანამემამულენი, სამხრეთ ჯორჯიის („ხეორხია დელ სურ“) კუნძულიდან (იგი ატლანტის ოკეანეში მდებარეობს) ჩამოსულნი გვეგონეთო. ამის შემდეგ ისინი განსაკუთრებით ზრუნავდნენ ჩვენზე. ზოგიერთი გამოგვიტყდა, რომ მოგვიანებით რუსებადაც მიგვიჩნიეს. ძალიან უკვირდათ, რომ ხუთმილიონიან ხალხს ასეთი დიდებული მოცეკვავეები გვყავს, ამგვარი დონის ქორეოგრაფიული ანსამბლი ჩვენთან ჯერ არ ჩამოსულაო. 2 თვის მანძილზე 27 კონცერტი გავმართეთ.

● ***ვიცით, რომ არგენტინელებს ფანატიკურად უყვართ ფეხბურთი...***

– „უყვართ“– ეს ის სიტყვა არაა: პირდაპირ გადარეულები არიან. როდესაც „რივერ პლეიტზე“ მატჩია, ყველა, რომ იტყვიან, მთელი ბუენოს-აირესი, ამ დიდებული სტადიონის ტრიბუნებზე ზის. ის კი, ვინც ვერ იშოვა მატჩის ბილეთი, ფეხბურთის ტელეტრანს ლაციას კაფე-ბარში უყურებს უზარმაზარ ტელეეკრანზე.

● ***მარადონას ხომ არ შეხვედრიხართ?***

ნიკო პატარქალიშვილი

– ო, ეს არც ისეთი იოლი საქმეა. ალბათ, არგენტინის პრეზიდენტს უფრო ადვილად შეხვდები, ვიდრე ფეხბურთის გულშემატკივართა ამ აღიარებულ კერპს! ამიტომ გადავწყვიტე კონტაქტები თავდაპირველად მის წრესთან დამემყარებინა. წარმოიდგინეთ, ამისათვის ქვეყნის კონგრესის წევრებზეც კი „გავედი“. ბოლოს, როგორც იქნა, შევხვდი მას, თუმცა, მცირე ხნით. ცხადია, მაშინვე მესხსა და მეტრეველზე დავუწყე ლაპარაკი. მარადონას გაგონილი ჰქონდა ამ ჩინებული ქართველი ფეხბურთელების შესახებ, თუმცა, მათი თამაში არასდროს ენახა. როდესაც საბჭოთა ნაკრები ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამხანაგურ მატჩზე არგენტინაშიც ჩავიდა 1961 წელს, მარადონა სულ ერთი წლისა იყო, სამაგიეროდ, ჩვენი ოსტატების გვარების ხსენებაზე სახე ერთთავად გაებადრა საუბრის დროს იქვე მყოფ უგო ხინკისს – ხსენებული ტელევიზიის ხელმძღვანელს... „იქნებ არც იცით, რომ თქვეს მიხეილ მესხს ჩვენმა გულშემატკივრებმა „მოტოციკლეტი“ შეარქვეს! დიდი სისწრაფისა და „საფეხბურთო სლალომისათვის“. მიილებდა თუ არა ბურთს მესხი, ტრიბუნებს ერთი სული გვქონდა, როდის მისცემდნენ მას პასს, რადგანაც მესხი სამხრეთამერიკულ სტილში თამაშობდა“. მასპინძლებს ძალიან გაუკვირდათ, როდესაც ვუთხარი, რომ ქართველებს საამაყო გუნდი გვყავს – თბილისის „დინამო“, რომელშიც მესხი და მეტრეველი თამაშობდნენ. „კი მაგრამ „დინამო“ ხომ მოსკოვისააო, ბრწყინ-

იხ. მე–2 გვ.

კარატე ● მსოფლიო ჩემპიონატი

მივესალმოთ მსოფლიო ჩემპიონებს!

ამ დღეებში ქ. მოსკოვში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი შოტოკან კარატედოში ახალგაზრდებს შორის. ჩემპიონატის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ. მან თქვა: „ჩემპიონატისთვის დიდი ხანია ვემზადებოდით. გუნდი ივნისში დაკომპლექტდა. შეკრება გავიარეთ ბათუმში, ჩავატარეთ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა. ჩვენი ბიჭები ნაკრების მწვრთნელის თემურ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით თავს არ ზოგავდნენ, დღეში საშუალოდ 6 საათს ვარჯიშობდნენ. გამგზავრების წინ ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა გია ბარამიძემ გზა დაულოცა ჩვენს ბიჭებს და გამარჯვება უსურვა. კარგად გვესმოდა რა პრობლემების წინაშე იდგა ჩვენი ნაკრები, ვიცოდით, რომ გამარჯვება ძნელი მისაღწევი იქნებოდა. და აი, ჩვენებმა შეუძლებელი შეძლეს, 22 ქვეყნის გუნდთან ჭიდილში, რომელთა შორის იყვნენ რუსეთის, ინგლისის, გერმანიის, ამერიკის და ა.შ. კარატისტები, საქართველოს წარგზავნილებმა ჩინებულად იასპარეზეს და პირველად მოიპოვეს საქართველოს კარატეს ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ესენი არიან: დავით ჟვანია, კობა ცერცვაძე, ჭაბუკი მაღრაძე, გია ნადირაძე.

დიდი მადლობა საქართველოს მოქალაქეთა კავშირს, მის გენერალურ მდივანს მიხეილ მაჭავარიანს და თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს, რომელთა მხარდა ჭერითა და ხელშეწყობით გაემგზავრნენ ჩვენი ბიჭები ჩემპიონატზე“.

ზრაზახი და ფარისევლობა ქართული სუფრის მოვლენაა, ფეხბურთში არ გამოდგება...

იხ. მე-3 გვ.

ლარის ოფიციალური კურსი:
1 აშშ დოლარი – 1.8800 ლარი.

„სტუ-შევარდენი“ და სხვები ევროთასში

ფეხბურთელებისგან განსხვავებით, „სტუ-შევარდენის ვაჟ ხელბურთელთა გუნდი დინჯად, უხმაუროდ მიიწევს წინ დასახული მიზნისაკენ. პროგრამა მინიმუმი კი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაა. ამ ამოცანის გადაჭრის გზაზე ჩვენებმა ორი მატჩის ჯამში კვიპროსის ჩემპიონს „სტროვილეს“ სტუმრად სძლიეს 27:21, შინ — 26:14. ახლა დაგვრჩა 1/16 ფინალი, სადაც ზაპოროჟიეს „ზტრ“-ს (სატრანსფორმატორო ქარხნის კლუბს) ხვდება ჩვენი ჩემპიონი. თუ ეს ბარიერიც წარმატებით გადაილახა,

იხ. მე–2 გვ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 75 წლისა გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ყოფილი სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ალპინიზმში

ჯოკია გუგავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული ალპინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის

ჯოკია გუგავას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს დამწუხრებულ ოჯახს.

დიეგო მარადონას და სამხრეთ ამერიკის ორ საფეხბურთო გუნდს თბილისში ვიხილავთ!

(პირველი გვერდიდან)

ვალე ლევ იაშინი რომ ჰყავდათ კარში. ჩვენ მას აქ „არანია ნეგრა“ დავარქვით, რაც „შავ ობობას“ ნიშნავს, ასეთი ფერის ფორმით გამოდიოდა იგი არგენტინაში“. საუბრის დასასრულს გაუბედავად შევეკითხე მარადონას, საქართველოში ხომ არ გვეწვეოდა. პასუხი ლაკონური იყო: „სიამოვნებით, ოღონდ, არ ვიცი როდის!“. ასეა თუ ისე, მგონი უკვე ეს დროც დადგა. ვნახოთ, სულ მალე ყველაფერს შევიტყობთ!

CONTACT COMPANY

საქართველოს სასტუმრო ბიზნესის ეროვნული ასოციაცია

AEROFLOT
Russian International Airlines

ღონისძიება ტარდება ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით

● ***თუ ყველაფერი სასიკეთოდ მოხდა, იქნებ გვითხრათ მარადონას ვიზიტის დაახლოებითი „კონტურები“?***

– „დინამოს“ სტადიონზე ჩავატარებთ ოთხთა ტურნირს. ეს იქნება სავარაუდოდ შემდეგი გუნდები: საქართველოს, არგენტინის, ურუგვაის და ბასკეთის ან რუსეთის. ორ მათგანისაგან უკვე გვაქვს თანხმობა. ტურნირი შუა ნოემბერს, ერთ კვირას გასტანს საზეიმო გახსნასა და დახურვასთან ერთად. მატჩები გადაიცემა არა მარტო არგენტინაში, არამედ მის დანარჩენ თანამეგობრობის ქვეყნებშიც – ბრაზილიაში, ურუგვაიში, პარაგვაისა და ჩილეში. ტურნირის მთავარი მიზანია უკეთ გაიცნონ ამ ქვეყნებმა საქართველო, შემდგომში განვითარდეს მათთან საქმიანი, კულტურული და სპორტული ურთიერთობები. მუშაობა ამ მიმართებით გაგრძელდება უკვე კონკრეტული პროექტების შემუშავებით.

● ***უნდა ვიფიქროთ, რომ მარადონას ჩამოსვლისათვის კულტურულ პროგრამასაც მოვამზადებთ?***

– დიდი კონცერტის გამართვა გვაქვს ჩაფიქრებული ქართული ხელოვნების ყველაზე ცნობილი ვარსკვლავების (მათ შორის ჩვენი ქვეყნის გარეთ მყოფნიც) მონაწილეობით. იქნებ ერთი-ორი სტუმარიც მოვიწვიოთ, ვთქვათ, ალა პუგაჩოვა, დიეგო ტორესი (ლოლიტა ტორესის ვაჟი) და სხვა. ზეიმებს „დინამოს“ სტადიონსა და სპორტის სასახლეში გავმართავთ. გვინდა, რომ პირველ შეხვედრაზე ბურთი თამაშში საპატიო დარტყმით თვითონ მარადონამ შეიყვანოს, ერთ-ერთ დღეს „დინამოს“ სტადიონზე მან ნორჩ ფეხბურთელებთან საჩვენებელი ვარჯიში ჩაატაროს, სტადიონზევე გავმართავთ სპეციალურ ლატარიას, გოდერძი მახარაძე სტუმრებს ბურთით საოცარ ჟონგლიორობას უჩვენებს, დაგეგმილია აგრეთვე ქართველ გულშემატკივართა შეხვედრა ამ სახელოვან ფეხბურთელთან. საინტერესო იქნება აეროპორტში ძვირფასი სტუმრის დახვედრის ცერემონიალი - მას ათნომრიანი მაისურებით პატარა „მარადონელები“ შეეგებებიან. მარადონას დავათვალიერებინებთ თბილის-ქალაქს, ერთად ვეწვევით ჩვენს დიდებულ ტაძრებს (მარადონაც ხომ დიდი მორწმუნეა), ჩავალთ მცხეთაში, კახეთში... ერთი სიტყვით, პროგრამა, რომელზეც უკვე ვმუშაობთ, ვფიქრობ, საინტერესო იქნება. გახსნებაზე, ვაპირებთ ფერადი ნაბეჭდი პროგრამა-ბუკლეტის მომზადებასაც.

● ***ალბათ, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის დახმარებაც დაგჭირდებათ?***

– ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია სიხარულით გამოეხმაურა ამ იდეას, ყოველგვარი დახმარება აღგვითქვა. ეგებ შემდგომში შესაძლებელი იყოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტურნირების ჩატარებაც არგენტინასა და საქართველოში. სასიხარულოა ისიც, რომ ჩვენს ჩანაფიქრს უკვე გამოეხმაურნენ საქართველოს სასტუმრო ბიზნესის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი, ბატონი თამაზ შავგულიძე, სააქციო საზოგადოება „საერთაშორისო ავიახაზების“ („აეროფლოტი“) ხელმძღვანელობა და სხვა.

ერთი სიტყვით, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს თბილისს ალბათ მალე ეწვევა სახელგანთქმული დიეგო არმანდო მარადონა – „არგენტინული ტანგოს“ მთავარი ავტორი და შემსრულებელი. ეგებ მან ჩვენს ქალაქშიც იცეკვოს თავისებური „თბილისური“ ტანგო.

ოთარ ნოზაძე

ხსოვნა

ჯერ იყო სპორტი...

ყველამ იცოდა, რომ თეიმურაზ სტეპანოვი — მამალაძე ჩინებული ჟურნალისტი იყო — სხვადასხვა დროს მუშაობდა „ვეჩერნი ტბილისში“, „მოლოდიოჟ გრუზიაში“ (რედაქტორის მოადგილე), „კომსომოლსკაია პრავდაში“ (საკუთარი კორესპონდენტი), „იზვესტიაში“ (რედაქტორის მოადგილე), საქინფორმში (დირექტორი), „ნოვ-იზვესტიაში“ (წამყვანი პოლიტიკური მიმომხილველი)... მაგრამ ცოტას თუ გაუგონია, რომ თემო ახალგაზრდობაში ნიჭიერი მძლეოსანი გახლდათო ნადია ხნიკინასთან, მერი ქოჩლაძესთან, ჯულიეტა ოდილავაძესთან, ციალა თეთრაძესთან, მურზაყან გეგეშიძესთან და სხვებთან ერთად ვარჯიშობდა ახალგაზრდა მძლეოსანთა ცნობილ აღმზრდელთან ბორის ტახტაროვთან „დინამოს“ სტადიონზე. ოსტატი შეგირდზე დიდ იმედებს ამყარებდა — სახელოვან გამარჯვებებს ელოდა მისგან სპრინტსა თუ ხტომებში, განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდა თემოს სამხტომი.

გადიოდა დრო. ერთხელ თეიმურაზმა ჟურნალისტიკას გაუსინჯა კბილი და... სამუდამოდ „გაიჟღინთა“ საგაზეთო საღებავის სუნით. საყვარელ მძლეოსნობას ჩამოშორდა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თემომ უღალატა სპორტს. ბევრი როდი დაიკვეხნის ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის და სხვა სახეობათა მისებრ გულშემატკივრობას. სწორედ ტყავის ბურთის დიდმა სიყვარულმა ჩაიყვანა იგი 1978 წელს არგენტინაში მსოფლიოს XI ჩემპიონატზე, რის შედეგადაც დაიბადა მისი ძალზე საინტერესო წიგნი „არგენტინული ტანგო“.

დიდად ნიჭიერი ჟურნალისტი დაკარგა საქართველომ, სპორტის ჭეშმარიტი გულშემატკივარი.

ლელოელები

ჯოკია გუგავა

უმძიმესი დანაკლისი განიცადა ქართულმა სპორტმა, ეროვნულმა კულტურამ, მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ. გარდაიცვალა საქართველოში ალპინიზმის დამფუძნებელთა და დიდების მომტანთა ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული წარმომადგენელი, ფოლკლორული ანსამბლის გამორჩეული სოლისტი, საქართველოს სპორტული მოძრაობის უნარიანი მუშაკი ჯოკია გუგავა.

სვანეთის ბრწყინვალე ადამიანთა კოჰორტაში ჯოკია გუგავას თვალსაჩინო ადგილი ეკავა. მან ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის მამაცი და ზნეკეთილი ხალხის დიდბუნოვნების, ნიჭიერების, საერთოდ, ქართული გენის წარმოსაჩენად. მთელი სიცოცხლე ქართული ალპინიზმის, ქართული სპორტისა და ხალხური შემოქმედების სამსახურში გაატარა როგორც უშუალო შემოქმედმა და პროპაგანდისტმა. მისი წვლილი განსაკუთრებით აუწონავია მთამსვლელობის განვითარებაში. ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა ალპინისტთა თაობები და კვალიფიციურ ინსტრუქტორთა კადრები აღუზარდა სამშობლოს. დიდი წვლილი შეიტანა სვანეთში ალპინისტური ბანაკების „აილამას“ და „ზესხოს“ შექმნაში, ბოლომდე იყო მათი ხელმძღვანელი. სწორედ მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ ამ ბანაკებმა პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვეს მთამსვლელობის მოყვარულთა შორის მთელს მსოფლიოში.

ლენტეხის სპორტკომიტეტში თავმჯდომარედ მუშაობის წლებში ჯოკია გუგავამ პირველმა დანერგა სპორტის მთელი რიგი სახეობები, მათ შორის, ძიუდო. ნიჭიერმა ახალგაზრდებმა კი შორს გაიტანეს დედასაქართველოს სპორტული დიდება. სპორტული მოღვაწეობის პარალელურად ჯოკია გუგავა უდიდესი გულმოდგინებით იკვლევდა სვანურ სიმღერებს, ნერგავდა მას ახალგაზრდებში. იგი თავად იყო ამ სიმღერების წამყვანი შემსრულებელი ფოლკლორულ ანსამბლ „ლილეში“. იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ამ ადამიანში სამაგალითოდ იყო შერწყმული და გამოკვეთილი ყველაფერი, რაც პიროვნებას გამოარჩევს და წარმოაჩენს საზოგადოებაში როგორც სამშობლოს უანგარო მსახურს და მაღალზნეობრივ ადამიანს. ჯოკია გუგავა მშობლიური ბუნების ჭეშმარიტი შვილი იყო და თავისი ადამიანური ღირსებების გამო, ყველა დამსახურებულად მიაგებდა მოკრძალებულ პატივს. უამრავი მეგობარი ჰყავდა როგორც სამშობლოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

მშობლიური სვანეთი, მთელი საქართველო, მისი ღვაწლისა და პიროვნული ღირსებების დამფასებლები არასოდეს დაივიწყებენ და თაობებს გადასცემენ ჯოკია გუგავას ნათელ ხსოვნას.

კახი ასათიანი, ვალერი ასათიანი, ჟანო ბაგრატიონი, ირაკლი უღენტი, ზურაბ დიდიშვილი, გია თორთლაძე, ლევან ახვლედიანი, ლადო გურჩიანი, ივანე ბოჭორიძე, იროდი ბექაშვილი, ნოდარ ზვიადაძე, ავთანდილ გუნია, ვლადიმერ კანკავა, დავით ბერძენიშვილი, იმედო ფხაკაძე, დილარ ხაბულიანი, ოლეგ ზურაბიანი, თენგიზ გაჩეჩილაძე, ამირან ოზბაიძე.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უფროსი თაობის ქართველ ალპინისტთა ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის

ჯოკია გუგავას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს შვილის ბერდია გუგავას ოჯახს, ახლობლებს, ალპინისტთა საზოგადოებას.

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწე

ჯოკია გუგავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელო“-ს მატიანე

რა ხდებოდა 50 წლის წინათ...

- **სტუდენტთა X საერთაშორისო თამაშების (ბუდაპეშტი) ჩემპიონი გახდა მოჭიდავე ვასილ ილურიძე.**
- **ნადეჟდა** ხნიკინამ გოგონების ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა ბათუმში სიგრძეზე ხტომაში — 560 სმ.
- **გიორგი ათანელაშვილმა – გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში ა/კ სამხედრო ოლქის საზაფხულო სპარტაკიადაზე.**
- **საკავშირო** პირველობის ჩემპიონი გახდა ტანმოვარჯიშე ალექსანდრე ჯორჯაძე.
- **გურჯაანელ და ბაკურციხელ ლელობურთელთა ამხანაგურ მატჩში წარმატება წილად ხვდათ გურჯაანელებს 8:5.**

„სტუ-შევარდენი“ და სხვები ევროპაში

(პირველი გვერდიდან)

უკვე ჩემპიონთა ლიგაში გადავერთვებით. პირველი მატჩი ზაპოროჟიეში გაიმართება 2 ოქტომბერს, თბილისში — 10 ოქტომბერს. 1/16 ფინალიდან ასპარეზობაში ჩაებმება საქართველოს კიდევ სამი გუნდი. თბილისის „ასკ-მამული“ (ვაჟები) ეთამაშება ესპანეთის „სიიდადს“ სტუმრად. ქალებიდან ქვეყნის ჩემპიონი „მართვე“ „ჩემპიონთა თასზე“ ხვდება იუგოსლავიის „ბუდუჩნოსტს“ (პირველი მატჩი თბილისშია), „თასების თასზე“ კი ფოთის „კოლხეთი“ ავსტრიის „შტოკარაუს“ ეთამაშება. თარიღები 2 და 10 ოქტომბერი ყველგან უცვლელია.

თბილისში, ჩამოვიდა თურქეთის ქალაქ ტრაპიზონის ვაჟ ხელბურთელთა გუნდი, რომელმაც გუშინ, 7 სექტემბერს, პირველი ამხანაგური საკონტროლო მატჩი გამართა „სტუ-შევარდენთან“. ეს გუნდები დღეს, 8 სექტემბერს მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გაზდელიანი ხუთშაბათს, 9 სექტემბერს, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში (ერეკლეს მოედანი) მართავს პრესკონფერენციას. დასაწყისი 11 საათზე.

თბილისის „სტუ შევარდენის“ ვაჟ ხელბურთელთა კლუბი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ახალგაზრდა პერსპექტიული ხელბურთელი

დავით ენდელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გიწვევთ ცხენოსნობის მოყვარულებს! თბილისის საცხენოსნო სპორტულ ბაზა იწვევს მოზარდებს ცხენოსნობის ფასიან სპორტულ სექციაში სავარჯიშოდ. ცხენოსნობის საიდუმლოებას ბავშვებს შეასწავლიან გამოცდილი მწვრთნელები.

მისამართი: თბილისის იპოდრომი, შესასვლელი პურის მე-6 ქარხნის მხრიდან (ყაზბეგის პრ.).

ქართული გვარ-სახელები ქართულ სპორტში!

ის ადამიანები, რომლებსაც ამ რუბრიკას ამიერიდან ვუძღვნით, ქართულ და მსოფლიოს სპორტულ სამყაროში კარგად ცნობილი პიროვნებები არიან. სად არის მათი ფესვები, საიდან მოდიან, რა წვლილი შეჰქონდათ მათ წინაპრებს ქვეყნის ცხოვრებაში, რამდენია დღეს საქართველოში ამ გვარის მატარებელი, – ასეთი იქნება ძირითადად ის ინფორმაცია, რომელსაც ამ პუბლიკაციებში გაეცნობით. ცხადია, ჩვენ შევარჩიეთ მხოლოდ ის გვარები, რომელთა წარმომადგენლებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართულ სპორტში და რომელთა წარმომავლობა შესწავლილია. მასალებს ვბეჭდავთ ქართული გვარ-სახელების თანამედროვე მკვლევარის იაკობ ახუაშვილის თავაზიანი ნებართვით.

აბაშიძე

არგვეთს ბუდობდა ძველთაგან, რიცხვმრავალი და შემძლებელი სახელოვანი გვარი აბაშიძეთა.

XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე იმერეთში შეიქმნა უძლიერესი სათავადო აბაშიძეთა. აბაშიძენი ცხოვრობდნენ: იმერეთის, გურიას, აჭარას, ქართლსა და კახეთს. არიან აბაშიძენი აგრეთვე თუშნი.

ამჟამად აბაშიძენი ცხოვრობენ იმერეთში, ქართლში, კახეთში, გურიაში,

აჭარაში, თუშეთში, ლეჩხუმში, ოდი
შში, სამცხეში, თბილისში და პერ
თში.
ქართლში მცხოვრები აბაშიძეები
შტო-გვარებია: ქაიხოსროშვილები, ე
გენისაშვილები, ნიკოლოზიშვილებ
ხოლო კახეთსა შინა იოვანე აბაშიძ
სშვილები და სვიმონიშვილები და ეს
ნიც არიან სამ ხარისხად: 1) ქაიხოს
რონი, 2) ნიკოლოზისა და სხვანი
თავადობისა ხარისხსა შინა, ხოლო კ
ხეთს მცხოვრებისა პირველ არის იო
ანესშვილები (იგივე დღევანდელი ივ
ნეშვილები), პირველის ხარისხით, ხ
ლო მეორეს თავადის ხარისხით — სვ
მონისშვილნი (იოანე ბატონიშვილი ბ
გრატიონი) „შემოკლებითი აღწერა ს
ქართველოს თავადთა და აზნაურთ
გვარებისა, რომლებიც შეტანილ
არიან ტრაქტატსა შინა“ (გვ. 12).
აბაშიძე 8322 (თბილისი — 1109; ქ
ბულეთი — 938; ხელვაჩაური — 924
ამავე ძირისაა: აბაშია — 178 (ზუგ
იდი — 33, თბილისი — 31, ფოთი — 3
აბაშიშვილი 158 (ქარელი — 115, თბ
ლისი — 27, გორი — 11) შდრ. აბაშ
ძე 244 (ოზურგეთი — 162, თბილისი
41, ბათუმი — 17).
ქართულ სპორტში აბაშიძეთა გვ
რის ყველაზე თვალსაჩინო წარმომა
გენელია მსოფლიო და სსრ კავშირ
3-გზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაუ
ჭიდაობაში როსტომ აბაშიძე.

გამოიწერეთ 1999 წლისათვის ლელო

UEFA
EURO 2000

I ჯგუფი

დანია — შვეიცარია 2-1
ა. გილსენი 54 (1-0), თურქილმაზი 79 (1-1), დ. ტომასონი 81 (2-1).
ბელარუსი — უელსი 1-2
ბარანოვი 30 (1-0), საუნდერსი 42 (1-1), გიგზი 86 (1-2)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
იტალია	6	4	2	0	11-2	14
დანია	7	3	2	2	8-6	11
უელსი	7	3	0	4	7-14	9
შვეიცარია	6	2	2	2	5-5	8
ბელარუსი	6	0	2	4	4-8	2

II ჯგუფი

ზრაზახი და ფარისევლობა ქართული სუფრის მოვლენაა, ფეხბურთში არ გამოდგება...

არადა, უკვე რამდენი ხანია ასეთი ექსპერიმენტი ჩვენში განუკითხავი სიჯიუტით გრძელდება!

გვაპატიეთ, წინასწარ გიხდით ბოდიშს ყველას, ვინც ამას ჩვენსავით იმთავითვე გრძნობდა, მაგრამ მათი ხმა უმრავლესობის ცრუ აღტყინება-აღტაცების ჟრიამულში იკარგებოდა. იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ ყველა ერთად, იქნებ გავბედოთ და ისიც ვთქვათ, რაც ნამდვილად გვჭირს, რაც ნამდვილად სტკივა ჩვენს ფეხბურთს და თავს ცრუ დაპირებებით და იმედებით ნუღარ დავიმშვიდებთ.

გადავხედოთ ბოლო განვლილ წლებს, რატომღაც ქართული ფეხბურთის ყველა უბედურების სათავეს ვხედავდით მხოლოდ მწვრთნელებში, ვიმეორებთ, მხოლოდ მწვრთნელებში და ამ ცვლილების თაოსნები ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, გულშემატკივრებს რწმენას უნერგავდნენ, თითქოს ეს ნაბიჯი პანაცეა იქნებოდა. შიდა რეზერვი (მათ შორის იმედის და ოცნების) რომ ამოიწურა, აგერ უცხოელი სპეციალისტი ვიახლეთ. ამან ხომ მთლად მეცხრე ცაზე აიყვანა გამოუსწორებელი ოპტიმისტები. როგორც ჩანს ამ მოწვეულმა კადრმა, ქართული სუფრის წესებიც კარგად შეისწავლა, განსაკუთრებით ბაქიობა და ჩვენც, გულუბრყვილო მეინახენი აელვარებული თვალებით და მგზნებარე გულით შევციცინებთ ქართული ფეხბურთის ახალ მესიას. კარგია, რომ მისი ბოლომდე გვჯეროდა, მაგრამ ცუდია, ძალზე ცუდია ის, რომ ქართული ფეხბურთის აღმავლობა ასე მარტივად, კიდევ ერთი ახალი მწვრთნელის ნაკრებში მოწვევით მოვინდომეთ. ვამბობთ ამას, მაგრამ სულაც არ ვფიქრობთ, რომ ვინც ეს ნაბიჯი გადადგა და ჰოლანდიელი მწვრთნელი ჩამოიყვანა, ქართული ფეხბურთის კეთილდღეობაზე არ ფიქრობდა. ეს შეუძლებელია. იქნებ მწვრთნელის და ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალური და მთლიანი გუნდის ხასიათი ვერ მოექცა სასურველ ჩარჩოში. ყოველ შემთხვევაში, ლუბლიანაშიც გაგრძელდა ექსპერიმენტი, რამაც კიდევ უფრო უსუსურად წარმოაჩინა ჩვენი ნაკრები. რაღა დაგვრჩა... სფფ ნამდვილად დილემის წინაშე დგას.

მიმომხილველი

სლოვენია — საქართველო 2-1
ლიუბლიანა. ცენტრალური სტადიონი, 8000 მაყურებელი
სლოვენია: სიმეუნოვიჩი, ოსტერცი (აჩიმოვიჩი, 46), რუდონია, მილინოვიჩი, გალიჩი, კნავსი, ნოვაკი, ჩეჰი, უდოვიჩი (კარიჩი, 77), ზაჰოვიჩი, (ისტენიჩი, 90), პავლინი.
საქართველო: გვარამაძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, დიდავა, სიჭინავა, ა. ახვლედიანი (შეყილაძე, 46), კალაძე, ფოცხვერია, ყაველაშვილი, ა. არველაძე, შ. არველაძე.
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია).
გოლები: აჩიმოვიჩი, 48 (1-0), შ. არველაძე, 56 (1-1), ზაჰოვიჩი, 81 (2-1).
გააფრთხილეს: ახვლედიანი, გალიჩი, ცქიტიშვილი.
გააძევეს: კატანეცი, 56 (მწვრთნელი).

ნორვეგია — საბერძნეთი 1-0
ლეონარდსენი 34
ალბანეთი — ლატვია 3-3
ასტაფიევი 20 (0-1), ბუში 29 (1-1), ასტაფიევი 62 (1-2, შტოლცერსი 70 (1-3), ბუში 78 (2-3), მუკა 90 (3-3)

ნორვეგია	8	6	1	1	15-8	19
სლოვენია	8	5	2	1	12-7	17
ლატვია	8	3	3	2	10-8	12
საბერძნეთი	8	2	3	3	8-8	9
ალბანეთი	8	0	4	4	6-11	4
საქართველო	8	1	1	6	5-14	4

III ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია — თურქეთი 0-3
არიფი 45 (0-1), არიფი 46 (0-2), არიფი 48 (0-3)
ფინეთი — გერმანია 1-2
ბირჰოფი 2 (0-1), ბირჰოფი 17 (0-2), სალი 63 (1-2

გერმანია	6	5	0	1	16-4	15
თურქეთი	6	5	0	1	14-5	15
ფინეთი	7	2	1	4	9-12	7
ჩრ.ირლანდია	6	1	2	3	3-11	5
მოლდოვა	7	0	3	4	6-16	3

ITALIA
ვიერი

IV ჯგუფი

ისლანდია–ანდორა 3-0
გუდიონსონი 29 (1-0), ჰრეიდარსონი 32(2-0), გუდიონსენი 90 (3-0)
რუსეთი — სომხეთი 2-0
ბესჩასტნიხი 8 (1-0) კარპინი 70 (2-0)
უკრაინა — საფრანგეთი 0-0

უკრაინა	8	4	4	0	12-3	16
რუსეთი	8	5	0	3	19-10	15
ისლანდია	8	4	3	1	10-3	15
საფრანგეთი	8	4	3	1	11-6	15
სომხეთი	8	1	2	5	3-12	5
ანდორა	8	0	0	8	2-23	0

V ჯგუფი

ინგლისი — ლუქსემბურგი 6-0
შირერი 12 პენ (1-0), შირერი 28 (2-0), მაკმანამანი 30 (3-0), შირერი 34 (4-0), მაკმანამანი 55 (5-0), ოუენი 90 (6-0)
შვედეთი — ბულგარეთი 1-0
ალექსანდერსონი 65

შვედეთი	6	5	1	0	7-1	16
ინგლისი	7	3	3	1	14-4	12
პოლონეთი	6	4	0	2	12-6	12
ბულგარეთი	7	1	2	4	3-8	5
ლუქსემბურგი	6	0	0	6	2-19	0

VI ჯგუფი

ავსტრია — ესპანეთი 1-3
რაული 22 (0-1), იერო 49 საკუთ. კარში (1-1), იერო 56 (1-2), ლუის ენრიკე 88 (1-3).
კვიპროსი — ისრაელი 3-2
ენგომიტისი 27 (1-0), ბადირი 31 (1-1), სპოლიარიჩი 53 (2-1), ბენაიუნი 82 (2-2), სპოლიარიჩი 86 პენ (3-2).

ესპანეთი	6	5	0	1	31-5	15
კვიპროსი	6	4	0	2	11-10	12
ისრაელი	6	3	1	2	17-6	10
ავსტრია	7	3	1	3	16-19	10
სან-მარინო	7	0	0	7	1-36	0

VII ჯგუფი

აზერბაიჯანი — პორტუგალია 1-1
ტაგი-ზადე 51 (1-0), ფიგუ 90 (1-1)
სლოვაკეთი — რუმინეთი 1-5
ილიე 6 (0-1), ლაბანტი 22 (1-1), ჰაჯი 30 (1-2), ჩობოტარიუ 66 (1-3), მოლდოვანი 88 (1-4), მოლდოვანი 90 (1-5).
ლიხტენშტეინი — უნგრეთი 0-0

რუმინეთი	8	6	2	0	21-2	20
პორტუგალია	8	6	1	1	28-3	19
სლოვაკეთი	8	3	2	3	9-9	11
უნგრეთი	8	2	3	3	11-7	9
აზერბაიჯანი	8	1	1	6	6-22	4
ლიხტენშტეინი	8	1	1	6	2-34	4

VIII ჯგუფი

ხორვატია — ირლანდია 1-0
შუკერი 90
იუგოსლავია — მაკედონია 3-1
სტოიკოვიჩი 37 (1-0), სტოიკოვიჩი 54 (2-0), ჩირიჩი 64 პენ (2-1), სავიჩევიჩი 77 (3-1).

ხორვატია	7	4	2	1	11-7	14
იუგოსლავია	6	4	1	1	12-4	13
ირლანდია	6	4	0	2	10-3	12
მაკედონია	6	2	1	3	10-9	7
მალტა	7	0	0	7	4-24	0

IX ჯგუფი

ბოსნია — შოტლანდია 1-2
ჰატჩისონი 13 (0-1), ბოლიჩი 23 (1-1), დოდსი 45 (1-2).
ლიტვა–ჩეხეთი 0-4
ნედვედი 60 (0-1), ნედვედი 63 (0-2), კოლერი 68 (0-3), კოლერი 90 (0-4)
ფარერები — ესტონეთი 0-2
რეიმი 88 (0-1), პიიროია 90 (0-2)

10
სლოვაკეთი — რუმინეთი
შეტევაზეა ჰაჯი

ჩეხეთი	8	8	0	0	21-5	24
შოტლანდია	7	3	2	2	11-10	11
ესტონეთი	8	3	1	4	14-13	10
ბოსნია	7	2	2	3	10-12	8
ლიტვა	8	2	2	4	7-13	8
ფარერები	8	0	3	5	4-14	3

ახალგაზრდული ნაკრებები

II ჯგუფი

სლოვენია — საქართველო 2-2
სანკოვიჩი 17 (1-0), შენგელია 45 (1-1), ალექსიძე 66 (1-2), პიტამიჩი 86 (2-2)
ნორვეგია — საბერძნეთი 2-1
კარაგუნისი 6 პენ (0-1), კიპე 11(1-1), ლანგე 71(2-1)
ალბანეთი — ლატვია 1-1
არბერი 15 (1-0), დობრეცოვი 83 (1-1)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ნორვეგია	8	6	1	1	17-6	19
საბერძნეთი	8	5	2	1	22-8	17
სლოვენია	8	1	5	2	10-11	8
საქართველო	8	1	4	3	7-11	7
ალბანეთი	8	1	3	4	6-16	6
ლატვია	8	1	3	4	4-14	6

ნუთუ სტადიონსაც მტრობენ?..

გასულ კვირა დღეს ქუთაისში გივი კილაძის სახელობის ახალგარემონტებულ სტადიონზე ხანძარმა იფეთქა. დაიღუპა ერთი ადამიანი — დარაჯი. მიუხედავად იმისა, რომ მეხანძრეებმა შეძლეს სტიქიის ლიკვიდაცია, მატერიალური ზარალი დიდია. დაიწვა ადმინისტრაციული ნაგებობა, ფეხბურთელთა მოსასვენებელი, სხვა სათავსოები. მანამდე, როგორც ცნობილია, ტორპედოელთა ბაზა გაძარცვეს. სამართალდამცავები ახლა ხანძრის მიზეზების ძიებასაც შეუდგნენ.

„ბუმათი“ (ქუთაისი)



„რაინდული საქართველოვ, აღსდექ!“

ქართული საბრძოლო ხელოვნების სისტემები: „მთიელთა საბრძოლო სტილი“ — საბრძოლო იარაღის მნიშვნელობა

მაინც რა მნიშვნელობა ჰქონდა საბრძოლო იარაღს ქართველი მთიელისათვის?

სვანებში, ფშავებში, მოხევეებში, მთიელებში, გუდამაყრებსა და განსაკუთრებით ხევსურებში დღესაც შემორჩენილია საბრძოლო იარაღის უამრავი ნაირსახეობა, მათ შორის შემტევი, საფარი, სატყორცნი და ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთა ფლობა უწინ აუცილებელი იყო მთიელი მამაკაცისათვის (წლოვანების შესაბამისად). საქართველოს ამ მთაგორიან რაიონებში არსებობის პირობა ქალსაც კარნახობდა ხელში აელო საბრძოლო იარაღი და მამაკაცთან ერთად ებრძოლა საჭიროების შემთხვევაში.

სადაც არ უნდა ყოფილიყო მთიელი, რითაც არ უნდა ყოფილიყო დაკავებული, ყოველთვის უნდა ჰქონოდა იარაღი, თუნდაც „მალული“ იარაღი. საბრძოლო იარაღი იყო მისი მუდმივი თანამგზავრი და ყველაზე დიდი სიმდიდრე. ეს მიუთითებს ჩვენთან შეიარაღების სხვადასხვა სახეობის გავრცელებას. ამის დამამტკიცებელია ჩვენი ეროვნული ტანსაცმელი, რიტუალები, წეს-ჩვეულებები, იარაღის გაცვლის ფუნქცია და ა.შ.

განვიხილოთ მთიელისათვის საბრძოლო იარაღის საკულტო მოვლენად გადაქცევის მიზეზები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთიელი არასოდეს შორდებოდა იარაღს. იყო გამონაკლისებიც, მაგალითად, ტაძარსა და სტუმრად ყოფნის დროს, ტრადიციის მიხედვით იარაღი სახლის პატრონს ბარდებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც (დაფიქსირებულია ხევსურეთში) ზოგიერთ მთიელს თან მაინც გააჩნდა მალული დამცველი იარაღი — სპეციალური „უბის ფარის“ სახით. გარდა ამისა, ხევსურეთსა და ფშავში გავრცელებული იყო ტანსაცმლის სხვადასხვა არეებში (ზონებში), განსაკუთრებით თავსაბურავებში (ქუდებში) დამცველი მოწყობილობების ჩატანება (მაგალითად, ხის ან ლითონის ფირფიტები, ანდა, ლითონის რკალები — „ქუდის გირგოლი“).

საბრძოლო იარაღისადმი ამნაირმა დამოკიდებულებამ მთიელებში მათი გამოყენებისა და დანიშნულების მრავალი ფორმა დაბადა.

ქართველ მთიელთა საბრძოლო იარაღები მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: საბრძოლო, კომბინირებულ და სავარჯიშო — „საჩვევ“ იარაღებად.

საბრძოლო იარაღები, მათ შორის მალულად სატარებელიც, იყოფიან: ***შემტევ ანუ თეთრ იარაღად*** (ქარქაშში სატარებელი — ხმალი, დაშნა, ხანჯალი, ჯიბის დანა — ურსა); ***სატყორცნ*** (შურდული, კუდბაწარა, მშვილდისარი, აჯიმშვილდი, ქეიბური ანუ კონდახიანი მშვილდისარი, კაპარჭი), ***ცეცხლსასროლ*** (კაჟიანი თოფი, დამბაჩა, მაჭახელა) და ***საფარ ჯგუფებად.*** ხოლო რაც შეეხება საფარ (დასაცავ) იარაღს, იგი იყოფა ორ ქვეჯგუფად: აქტიური დაცვის იარაღები (ფარები, დარაკი; დიდი ფარი — დელამ-ფარი, პატარა ფარი — პელტი, მალული ფარი — უბის ფარი) და ***პასიური***



ხისგან დამზადებული სავარჯიშო ანუ საჩვევი იარაღი (ზევიდან): დაწნული ფარი, დაშნა, ხმალი

დაცვის იარაღები (ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი, სამკლავენი, ჯაჭვის საფუხრები, საჭერნენი, გორგოლანი ქუდი და სხვ.).

კომბინირებული იარაღი შედგებოდა შემდეგი ნაირსახეობებისაგან: ხმალ-ჯოხა (ყავარჯენში ჩამალული ხმალი), ჯოხ-დაშნა (ჯოხში ჩამალული დაშნა), შუბ-ჯოხა (ჯოხში ჩამალული შუბის წვერი) და ნაწილობრივ უბის ფარი.

ხმალ-ჯოხა და ჯოხ-დაშნა, ჩვეულებრივ ხმალთან და დაშნასთან შედარებით, ზომით პატარებია (მათ გადატეხილი იარაღისაგან ამზადებდნენ), რის მეშვეობითაც, მაგალითად ჯოხ-დაშნა ადვილად იმალება სახელოში ან ზურგს უკან ტანსაცმლის ქვეშ. ხმალ-ჯოხა წარმოადგენს ყავარჯენში ჩამალულ ხმალს. ჩვეულებრივ მას იყენებდნენ ბერიკაცი ხევსურები, ისინი თან ატარებდნენ ასეთ იარაღს და საყრდენადაც იყენებდნენ მას.

უბის ფარის ფორმა ბევრ შემთხვევაში ოვალურია. მისი ზომა და წონა, ჩვეულებრივ ფართან შედარებით მცირე იყო. ფარის მოქლონები (ლურსმნები) უკეთდებოდა უფრო მაღალი ქუდებით. ისინი გამოიყენებოდა როგორც შემტევ იარაღად (გამკაწრავი დარტყმების მისაყენებლად), ასევე უბის ფარს შეეძლო მოწინააღმდეგის იარაღით მძლავრი შეტევის შეკავება — მოგერიება. მოხმარების დროს ეს ფარი ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად ეჭირათ. ამ აქტიური დაცვის იარაღს ატარებდნენ ჩოხის ქვეშ უბეში მტერთან მოულოდნელი შეხვედრისათვის და სწორედ აქედან მიიღო მან სახელწოდება — უბის ფარი. როდესაც ხევსურს, რაიმე მიზეზის გამო, ხელთ არ ჰქონდა ხმალი და ჩვეულებრივი ფარი, მაშინ მალული იარაღი ყოველთვის მასთან იყო. ამგვარად, ხევსური არ რჩებოდა მტრის წინაშე იარაღის გარეშე.

და ბოლოს, ***სავარჯიშო ანუ საჩვევი იარაღი.*** საჩვევი იარაღი საბრძოლო იარაღის ასლი იყო. იგი მზადდებოდა ხისაგან და ლითონისაგან. გამოიყენებოდა ხის ხმლები, დაშნები, ფიცრის ან დაწნული ფარები. საბავშვო სათითენი (საბრძოლო ბეჭდები — კასტეტები) — ნესტარი კი მავთულისაგან ან ლითონისაგან მზადდებოდა. მთიელი ბავშვები ასევე იყენებდნენ სასულე და სატყორცნ იარაღებს (ამ თემას უფრო დაწვრილებით მომავალში შევეხებით).

იური ყეინაშვილი
საბრძოლო ხელოვნების ოსტატი.
სპეციალურად „ლელოსთვის“
(გაგრძელება იქნება)



უბის ფარები. მარცხნივ — წინა, მარჯვნივ — უკანა ხედით



ხმალ-ჯოხა (კომბინირებული იარაღი)

დასაწყისი იხ. „ლელო“, №53,54,56-58,61-68

ერთი სეზონის თავდამსხმელი?

კრისტიან ვიერი ახლა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ჩემპიონატის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. დღე არ გავა, რომ მასზე რაიმე საინტერესო ცნობა არ გამოქვეყნდეს. ამასთან, ჟურნალისტები ინტერვიუს იღებენ არა მარტო თვით თავდამსხმელისგან, არამედ ხშირად მისი ოჯახის წევრებისგანაც. განსაკუთრებით გაუშინაურდნენ ფეხბურთელის პაპას ენცოს, იტალიური „კალჩიოს“ დიდ გულშემატკივარსა და ნამდვილ ტიფოზს. ვინ იცის, გულშემატკივრობის რამდენი წლის სტაჟი აქვს ენცოს, რამდენ ტოტალიზატორში მიუღია მონაწილეობა. მას ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ „პრატოს“ (სერია C) ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა: „ბობო“ (ასეთია კრისტიან ვიერის მეტსახელი), რომელსაც 17 წელიც კი არ შესრულებოდა, ნამდვილ ბრძოლაში ჩაება. „დაიმახსოვრე, რამდენ გოლსაც გაიტან, იმდენ 5000 ლირას (დაახლოებით 3 დოლარი) მოგცემ“. ისედაც აგრესიულ თავდამსხმელს გაქეზება სულაც არ სჭირდებოდა, პირველ თამაშში სამი გოლი გაიტანა, მეორეში — ოთხი. პაპას შეეშინდა, შვილიშვილმა სულ არ გამაკოტროსო და ჰონორარი გატანილი გოლისათვის 1000 ლირამდე შეუმცირა.

კრისტიან ვიერი

გავიდა ხანი. ახლა ენცო სულ სხვანაირად ლაპარაკობს. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის დაწყების წინ მან ჟურნალისტებს განუცხადა: „თუ 6-7 გოლზე ნაკლებს გაიტანს, [illegible] თავს გავაგდებინებ“. ვიერიმ 5 მატჩში 5 გოლი გაიტანა — პაპა ამითაც დაკმაყოფილდა.

დაიბადა 1873 წლის 12 ივლისს ბოლონიაში, მემკვიდრეობითი ფეხბურთელის რობერტო ვიერის ოჯახში. საქმე ის არის, რომ რობერტოს მამა ენცო თავის დროზე „პრატოსა“ და „პისტოუზეს“ მეკარე იყო. რობერტოს „სერია A-ში“ ნიჭიერი ნახევარმცველის სახელი ჰქონდა, მაგრამ როცა ხანში შევიდა, კარიერის გაგრძელების მიზნით ავსტრალიაში გადასახლდა, და ქ. სიდნეის იტალიელი ემიგრანტების გუნდ „მარკონიში“ თამაშობდა, შემდეგ კი მწვრთნელი გახდა.

ავსტრალიაში კრისტიან ვიერი გატაცებული იყო კრიკეტით, მძლეოსნობით, ცურვით, მაგრამ „მარკონის“ შემადგენლობაში არასოდეს უთამაშია. როცა 1988 წლის ზაფხულში არდადეგებზე იტალიაში ჩავიდა, ავსტრალიაში დაბრუნება აღარ მოისურვა. მამის წინააღმდეგობის მიუხედავად, პაპის ხელშეწყობით, რომელმაც პოპულარულ ფეხბურთელ პაოლო როსის სთხოვა ჭაბუკისათვის პროტექცია გაეწია, კრისტიანი, კლუბ „სანტა ლუჩიას“ უარის შემდეგ „პრატოში“ ჩაირიცხა.

ასე დაიწყო კრისტიან ვიერის ბრწყინვალე კარიერა. „პრატოში“ იგი სულ ერთი სეზონი დარჩა, შემდეგ „სერია A“-ს ცნობილ კლუბ „ტორინოში“ გადავიდა. ისე რომ, უმაღლეს დონეზე დებიუტი 18 წლის ვიერის ჰქონდა. ერთი რამ თავიდანვე შეიმჩნეოდა: ერთ გუნდში დიდხანს ვერ ჩერდებოდა. მოასწრო თამაში „პიზაში“ (სერია B), რავენაში (სერია B), ვენეციაში (სერია B). 1995 წლიდან კი, როცა მართლაც ძალიან ძლიერად დაიწყო თამაში, მხოლოდ უმაღლეს ლიგაში გამოდის. 1995-96 წლების სეზონი ბერგამოს “ატლანტაში“ გაატარა, 1996-97 წლებისა — ტურინის „იუვენტუსში“. აი სწორედ „ბებერი ქალბატონის“ შემადგენლობაში გახდა იგი იტალიის ჩემპიონი, ევროპის სუპერთასისა და საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი. საინტერესოა, რომ ადრე, ერთ სეზონს „იუვენტუსში“ მისი მამა რობერტოც თამაშობდა. კრისტიან ვიერიში „იუვენტუსმა“ 6,5 მილიარდი ლირა (4,5 მილიონი დოლარი) გადაიხადა, მაგრამ იგი მხოლოდ ერთ სეზონს შეინარჩუნა, თავდამსხმელმა განაცხადა, რომ ვერ ეგუება მწვრთნელ მარჩელო ლიპის. რა გაეწყობოდა, იგი 20 მილიონ დოლარად მადრიდის „ატლეტიკოს“ მიჰყიდეს. აქ სნაიპერმა 24 მატჩში 24 გოლი გაიტანა, მაგრამ, როგორც კი სეზონი დამთავრდა, ესპანეთში დარჩენა არ მოინდომა. რატომ? ცუდი ურთიერთობა ჰქონდა „ატლეტიკოს“ მწვრთნელ რადომირ ანტიჩთან, რომელმაც სეზონის ბოლოს ძირითადი შემადგენლობიდანაც კი გამოიყვანა მას შემდეგ, რაც ანტიჩი მრისხანეს, ახალმა მწვრთნელმა, განთქმულმა არიგო საკიმ ვიერი აშკარად აითვალწუნა. „სანამ მე აქა ვარ, შენ არ ითამაშებ“. იგი 30,8 მილიონ დოლარად რომის „ლაციომ“ იყიდა.

ვიერი „ლაციოში“, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ თამაშობდა, რომაელები სულ ბოლო მომენტამდე ინარჩუნებდნენ სკუდეტოს მოპოვების შესაძლებლობას, რომელიც მათ „რალაცა მანქანებით“ „მილანმა“ გამოგლიჯა ხელიდან. „ლაციო“ თასების მფლობელთა თასს დაეუფლა, რომელიც, როგორც ცნობილია, უკანასკნელად გათამაშდა. ვიერი ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, იმის მიუხედავად, რომ სერიოზულად დაშავდა — თავი გაუტეხეს.

მაგრამ აი, 1998-99 წლების სეზონი დამთავრდა. ვიერიმ, როგორც ყოველთვის, კლუბის გამოცვლა მონდომა, ამან „ლაციოს“ გულშემატკივრები ძალიან აალელვა. ასეთი სნაიპერის დაკარგვა? მაგრამ რა გაეწყობოდა. გუნდის ლიდერმა რობერტო მანჩინიმ თქვა: „როცა მოთამაშეს კლუბის გამოცვლა სურს, იგი ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე უნდა გაანთავისუფლო. რა აზრი აქვს მის გაჩერებას, როცა სულ სხვა რამეს აპირებს? ველაპარაკე ბობოს „ინტერში“ გადასვლის თაობაზე და დავრწმუნდი, რომ მისი გადაწყვეტილება უცვლელია. ამ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილებაა დაუყოვნებლივ გაანთავისუფლო იგი. ასე სჯობს ვიერისათვის და „ლაციოსათვისაც“.

„ლაციომ“ ვიერი „ინტერს“ 43 მილიონ დოლარად მიჰყიდა. ახლა კი ნახეთ, როგორ იზრდებოდა ვიერის თასი!

და კიდევ ერთი: გავიხსენოთ, რა მოტივით დატოვა ვიერიმ „იუვენტუსი“. ამბობდა, რომ მარჩელო ლიპის ვერ შეეგუა. მაგრამ განა ახლანდელ „ინტრში“ იგივე მარჩელო ლიპი არ მუშაობს?! საინტერესოა, ამავე მოტივით ხომ არ დატოვებს ვიერი გაისად გუნდს?

ჯერჯერობით კი ყველაფერი შესანიშნავად წარიმართა. იტალიის ჩემპიონატის პირველივე ტურში, სადაც ფორვარდებმა მაინცდამაინც თავი ვერ გამოიჩინეს, ვიერიმ „მთელი“ სამი ბურთი გაიტანა „ვერონას“ კარში და, როგორც ფიქრობენ, აუცილებლად იბრძოლებს ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერის წოდებისათვის.

ახლა კი რამდენიმე დამატებითი მონაცემი ამ მართლაცდა, არაორდინარული თავდამსხმელის შესახებ. 1990 და 1994 წლებში იგი ორჯერ ზედიზედ გახდა ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (23 წლამდე) ჩეზარე მალდინის ხელმძღვანელობით. მისი სიმაღლე 185 სმ, წონა კი 82 კგ. უცოლოა, ჰყავს მშობლები რობერტო და ნატალი, ძმა მასიმილიანო, და ვერონიკა. მისი საყვარელი სპორტსმენია დენის როდმანი, საყვარელი საჭმელი — შოკოლადის პასტა „ნუტელა“, საყვარელი მსახიობები — სილვესტრ სტალონე და ჯულია რობერტსი, გატაცებულია კალათბურთით და კინოთი. იტალიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 1997 წლის 30 მარტს მოლდოვას წინააღმდეგ.

იტალიის ნაკრების ხელმძღვანელობა ვიერიზე დიდ იმედებს ამყარებს, როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ჩემპიონატებში. იგივე ითქმის „ინტერის“ მესვეურებზეც. ბევრი მიმომხილველის აზრით, სწორედ კრისტიან ვიერი უნდა ჩაითვალოს დღეისათვის მსოფლიოს №1 ფეხბურთელად, თუმცა, ბევრ რამეს, რა თქმა უნდა, იტალიის ახლანდელი ჩემპიონატიც გაარკვევს.

ბივი თორელი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კიდევ ერთი მატჩი 8 სექტემბერს

როგორ დონეზეც არ უნდა ტარდებოდეს არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებების შეხვედრა, იგი ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ასეთი პირველი მატჩი კვირას ბუენოს-აირესში გაიმართა და არგენტინელების გამარჯვებით დამთავრდა — 2-0. გოლები გაიტანეს ხუან სებასტიან ვერონმა და ერნან კრესპომ.

მეორე მატჩი ხვალისათვის არის დანიშნული. მწვრთნელებმა თავი მოუყარეს თავიანთ საუკეთესო შემადგენლობებს. გადავხედოთ მათ:

მარსელო ბიელსას განკარგულებაში არიან მეკარეები. რობერტო ბონანო, პაბლო კავალიერო, მინდვრის მოთამაშეები — რობერტო აიალა, ხოსე ანტონიო ჩამოტი, ნელსონ ვივასი, ვალტერ სამუელი, ხუან პაბლო სორინი, მაურისიო პოჩეტინო, ედუარდო ბერისი, ხავიერ სანეტი, დიეგო სიმეონე, ხუან სებასტიან ვერონი, არიელ ორტეგა, მარსელო გალიარდო, კრისტიან „კილი“ გონსალესი, გუსტავო ლოპესი, კლაუდიო ლოპესი, გილიელმო ბაროს სკელოტო და ერნან კრესპო:

ბრწყინვალე შემადგენლობა ჰყავს ვანდერლეი ლუქსემბურგოსაც: მეკარეები — დიდა და მარკოსი, მინდვრის მოთამაშეები — რობერტო კარლოსი, ჟოაო კარლოსი, ანტონიო კარლოსი, სილვინიო კაფუ, ემერსონი, ზე რობერტო, მარკოს ასუნსაო, ალექსი, ლუის ალბერტო, ვამპეტა შერდტი, რივალდო, რონალდო, რონალდინიო „გაუშო“ და ელბერი.

«ვიერი? გმადლობთ. ჩვენ სიმონე ინძაგი გვყავს»

ასე იხუმრა თუ სერიოზულად განაცხადა პრეს-კონფერენციაზე „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯიო კრანიოტიმ. პრეზიდენტი ძალიან კმაყოფილია თავისი ახალი თავდამსხმელის განთქმულ ფილიპო ინძაგის უმცროსი ძმის თამაშით. მან მშვენიერი გოლი გაიტანა იტალიის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩში „კალიარისთან“, თუმცა, სახე შეხვეული ჰქონდა. საქმე ის არის, რომ „ევროპის სუპერთასის მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალგაზრდა ფორვარდს გაუტეხეს... ცხვირი.

აფრიკას დაეხმარება აზია

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კანდიდატურის მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ჩატარების საქმეში შეიძლება აზიის რეგიონმაც დაუჭიროს მხარი. ასეთი განცხადება გააკეთა სამხრეთაფრიკული ორგკომიტეტის პრეზიდენტმა დანი ჯორდანმა.

როგორც ცნობილია, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების მსურველები სამხრეთ აფრიკის გარდა, არიან ინგლისი, გერმანია, ბრაზილია და მაროკო, მაგრამ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი უპირატესობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ანიჭებს.

«მამაცხონებულო, ამ თანხით თვით ბაჯოს ვიყიდი!»

მოსკოვის „სპარტაკმა“ თხოვნით მიმართა კალინინგრადის „ბალტიკას“ მისთვის მიეყიდა თავდამსხმელი ფედკოვი. ეტყობა ოლეგ რომანცევმა რაღაც კარგი შეამჩნია ამ ფეხბურთელს, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი არ არის. „ბალტიკას“ პრეზიდენტი თანახმა იყო გარიგებაზე, მაგრამ გუნდის (ამჟამად უკვე ყოფილი) მწვრთნელი დერგაჩი, რომ იტყვიან, ჯორზე შეჯდა და ძალიან დიდი თანხა მოითხოვა.

— მამაცხონებულო, ამ თანხით ხომ თვით რობერტო ბაჯოს ვიყიდი — შესძახა გაბრაზებულმა რომანცევმა.

პალერმო პენალტისტი აღარ გახლავთ

„ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელი მარტინ პალერმო 6 გატანილი ბურთით ლიდერობს არგენტინის ჩემპიონატს, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ დაიწყო.

საინტერესოა, რომ პალერმომ, რომელიც ისტორიაში შევიდა იმით რომ „Copa Amerika“-ს ერთ მატჩში სამი პენალტი ვერ გამოიყენა, ორი 11-მეტრიანი არგენტინის პირველობაზეც ვერ გაიტანა.

მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ „ბოკა ხუნიორსის“ მორიგი ვარჯიში ჩაატარა. მარტინ პალერმომ 12 თერთმეტრიანიდან მხოლოდ 6 გამოიყენა. ამან ბიანკის მოთმინების ფიალა აავსო. მან განაცხადა: მორჩა და გათავდა, ამიერიდან პალერმო პენალტისტების სიიდან სამუდამოდ ამოიშალა. ახლა 11-მეტრიანს გუნდის მეორე თავდამსხმელი გილიერმო ბაროს სკელოტო შეასრულებს.

მარსელის «ოლიმპიკს» უყვარს არგენტინელები

როგორც მარსელის „ოლიმპიკის“ მთავარმა მწვრთნელმა როლან კურბისმა განაცხადა, მან შეიძინა 16 წლის დანიელ მონტენეგრო, რომელიც არგენტინის მეორე დივიზიონის კლუბ „ურაკანში“ გამოდიოდა.

კურბისმა ეს მოიერიშე ნახევარმცველი შეამჩნია ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში (17 წლამდე), რომელიც ივნისში ტულონში ჩატარდა. აქ არგენტინელებმა მეორე ადგილი დაიკავეს კოლუმბიელების შემდეგ. მწვრთნელს მიაჩნია, რომ ნიჭიერი ახალგაზრდა გამოადგება ჩემპიონთა ლიგის ახლანდელ გათამაშებაში.

საინტერესოა, რომ წლეულს „ოლიმპიკმა“ უკვე სამი არგენტინელი შეიძინა — მონტეგროს გარდა, მცველი ედუარდო ბერიცო და ნახევარმცველი რაულ კასინი.

შორს გამიზნული ხელშეკრულება

როგორც ადრე ვიუწყებოდით, დანიის ფეხბურთის ფედერაციას ჰქონდა მოლაპარაკება ახლო წარსულში გამოჩენილ ფეხბურთელ მორტენ ოლსენთან, რომელსაც ნაკრების ხელმძღვანელობა შესთავაზეს.

ამ ბოლო ხანებამდე, ნაკრებს წვრთნის შვედი სპეციალისტი ბუ იუხანსონი, რომელსაც ხელშეკრულება 2000 წლის 1 ივლისს უთავდება. შვედმა აღარ მოისურვა დანიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაგრძელება. ისე რომ, 1 ივლისიდან მუშაობას უკვე ოლსენი დაიწყებს, რომელსაც მოსთხოვეს ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაყვანა. ოლსენი, რომელიც ეროვნულ ნაკრებში 19 (!) წლის მანძილზე თამაშობდა და 102 მატჩი ჩაატარა, ადრე „ბრონდბიუს“ (დანია), „კიოლნსა“ და ამსტერდამის „აიაქსს“ წვრთნიდა.

იან რაიტი ფეხბურთს არ მიატოვებს

ვერც კი მოასწრეს მიმომხილველებმა იმ ცნობის კომენტარი, რომ გამოჩენილი თავდამსხმელი იან რაიტი გამოეთხოვა ფეხბურთს...

ასეთი განცხადება, რაიტმა, რომელიც ბოლო ხანებში ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედში“ თამაშობდა, მართლაც გააკეთა. მაგრამ გავიდა სულ ერთი კვირა და რაიტს თხოვნით მიმართა მისმა ძველმა მეგობარმა დევიდ პლატმა, რომელიც ახლა უმაღლესი ლიგიდან პირველში გადასულ ცნობილ კლუბ „ნოტინგემ ფორესტს“ ხელმძღვანელობს. პლატი კლუბის მესვეურებს დაპირდა, რომ „ნოტინგემს“ ისევ უმაღლეს ეშელონში დააბრუნებს და რაიტს ამ საქმეში დახმარება სთხოვა.

35 წლის იან რაიტს გულმა ველარ გაუძლო და კიდევ ერთ წელს ითამაშებს ფეხბურთს, ამჯერად, ცხადია, „ნოტინგემ ფორესტის“ შემადგენლობაში...

არა, რივალდო არსად წავა

„ბარსელონამ“ გადაწყვიტა ხელფასი მნიშვნელოვნად გაუზარდოს რივალდოს, რათა არსად გადავიდეს. „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა ჟოან გასპარტმა ესპანეთის რადიოთი გამოსვლისას განაცხადა, რომ ბრაზილიელი არავითარ შემთხვევაში არ გადავა სადმე. ეს ვიცე-პრეზიდენტმა იმასთან დაკავშირებით თქვა, რომ რამდენიმე კლუბი, პირველ რიგში კი „მანჩესტერ იუნაიტედი“, აპირებდა რივალდოს შესაძენად მოლაპარაკების დაწყებას. რათა რივალდო მართლაც ვერავინ გადაიბიროს, „ბარსელონამ“ დააწესა პირდაპირ ფანტასტიკური ფასები. მისი შეძენის მსურველთათვის: 100 მილიონი დოლარი ესპანური კლუბებისათვის და 200 (!) მილიონი – უცხოელთათვის. გასპარტმა აქვე თქვა, რომ ასეთი თანხის გადახდას ვერავინ შეძლებს.

სურათზე:
„ბარსას“ ჩემპიონობის ერთ-ერთი შემოქმედი, მისი საუკეთესო ბომბარდირი, ბრაზილიელი რივალდო (მუქ მაისურში).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

დიდი კლუბები

„ჩელსი“

1998-99 წ.წ. სეზონში „ჩელსი“ პირველი ადგილის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იყო, მაგრამ ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელა. ლონდონის არისტოკრატიული რაიონის კლუბი ახლაც იმასვე უმიზნებს, რაც წინა სეზონში არ გამოუვიდა. თუ იმასაც ვიტყვით, რომ სატრანსფერო პერიოდში „ჩელსის“ არაფერი დაუკარგავს, რამდენიმე ძლიერი ოსტატი კი შეიძინა, შეიძლება „ჩელსი“ 1999-2000 წლების სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და არსენალის“ მთავარ მეტოქედ იქცეს.

ჯანლუკა ვიალიმ ინგლისში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ამავე დროს ბოლო სეზონის ზოგიერთ მატჩში ჯერ კიდევ მონაწილეობდა. ბებერი ხარისაო... და მაინც ვიალიმ ჩათვალა, რომ მის ასაკში თამაში აღარ ღირს და ამიერიდან იგი „მხოლოდ“ მთავარი მწვრთნელი იქნება.

და მაინც მთლად ზუსტნი არ ვიყავით, როცა ვთქვით, რომ „ჩელსის“ ბევრი არაფერი დაუკარგავს. პიერ ლუიჯი კაზირაგიმ, „ჩელსის“ „მძიმე არტილერიამ“ ხომ მართლაც მძიმე ტრავმა მიიღო და დღემდე ნათელი არ არის, განაახლებს თუ არა გამოსვლებს. ბრაიან ლაუდრუპის დანიაში დაბრუნებაც დიდი დანაკარგი იყო (ახლა კი იგი „აიაქსში“ გამოდის), თუმცა, რა თქმა უნდა, შენაძენი ბევრად უფრო მეტია.

„ჩელსი“ დატოვეს აგრეთვე რუსმა მეკარე ხარინმა (გადავიდა გლაზგოს „სელტიკში“), რომელმაც ვერა და ვერ შეინარჩუნა ადგილი ძირითად შემადგენლობაში, მაიერსმა (ითამაშებს „ბრედფორდში“), ნიუტონმა (გამოვა „ბირმინგემ სიტიში“), დიუბერიმ (გადავიდა „ლიდს იუნაიტედში“).

„ჩელსის“ მთავარ შენაძენად ითვლება ცენტრფორვარდი კრის სატონი, რომლისთვისაც „ბლეკბერნ როვერსს“ 10 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს ისე, რომ ოდნავაც არ შევაჭრებიან. თუ ვინმე ითვლება ინგლისში სნაიპერად, ერთი მათგანი, რა თქმა უნდა, სატონიც გახლავთ. ახლა საქმე ის არის, როგორ შეეწყობა იგი ახალ გუნდს. ამავე დროს 26 წლის სატონი ხომ ინგლისის ნაკრებში თამაშის ერთ-ერთი კანდიდატიცაა. ახალ მწვრთნელს ვერ შეეწყო და ტურინის „იუვენტუსიდან“ გადმოვიდა ვიალის ძველი მეგობარი, მსოფლიო ჩემპიონი დიდიე დეშამი, რომელშიც „სულ“ 3 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს. კიდევ ერთი შენაძენია მცველი მაურო მელხიოტი, რომელიც ამსტერდამის „აიაქსიდან“ გადავიდა. იგი საკონტროლო მატჩში დაშავდა და მკურნალობას საჭიროებს. დანიელი მცველი იენს ჰოგი რამდენიმე წელს თურქეთში თამაშობდა, ახლა კი უფრო „მაღალ საზოგადოებაში“ მოუხდება გამოსვლა. ერთი სიტყვით, არც ერთ ინგლისურ კლუბს არ „უვაჭრია ისე სარფიანად“ საფეხბურთო ბაზარზე, როგორც „ჩელსის“. ვნახოთ, როგორ აისახება ეს გარემოება მინდორზე.

ინგლისელი კომენტატორები ბევრს წერენ „ჩელსისა“ და მისი შესაძლებლობების შესახებ. რა თქმა უნდა, ყველაფერი შედარებითია, მაგრამ რაიმე სუსტ ადგილს „ჩელსის“ რომელიმე რგოლში ექსპერტები ვერ ხედავენ.

კარს იცავს ერთ-ერთი უძლიერესი ჰოლანდიელი მეკარე დე გუი. დაცვის ძირითადი ოთხეული ასე გამოიყურება: პეტრესკუ, ლებეფი, მელხიოტი, ჰოგი. თითოეული მათგანი ფეხბურთის სამყაროში კარგად არის ცნობილი. შუა ხაზზე გამოდიან დეშამი, რომელიც სულაც არ აპირებს ფეხბურთთან გამოთხოვებას, დი მატეო და პოიეტი, თავდასხმის სამეულია ძოლა, სატონი და ტორე-ანდრე ფლო. ძოლა შეტევას მინდვრის სიღრმიდან იწყებს, ხან ერთ ფრთაზე გამოჩნდება და ხან მეორეზე. იტალიის ნაკრებს იგი საბოლოოდ კი გამოეთხოვა, მაგრამ „ჩელსისთვის“ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. სატონთან წყვილში კიდევ ერთი ნამდვილი სნაიპერი, ფლო თამაშობს. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში ვიალის სათანადო შემცვლელებიც ჰყავს.

დააკვირდით ერთ ამბავს — „ჩელსიში“ ვინც გნებავთ, თამაშობს... ...ინგლისელების გარდა. ეს სხვა კლუბებისათვის, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნებოდა, მაგრამ „ჩელსის“ ხელმძღვანელობა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად, ამ ფაქტორს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ასეთი დამოკიდებულება, ეტყობა, მანამდე გაგრძელდება, სანამ იტალიურ-ჰოლანდიურ-ფრანგულ-რუმინულ-ნორვეგიულ-დანიური გუნდი იგებს...

ბიჭი ბამრეკელი

სურათზე: ჯანლუკა ვიალი; უკანა პლანზეა გულიტი.

ომარ თეთრაძე — თბილისში რომის, უდინესა და სალონიკის გავლით

თბილისელთათვის კარგად ცნობილ ომარ თეთრაძეს რუსეთის ლიგაში კი დიდი სახელი ჰქონდა, მაგრამ იტალიაში ნამდვილად ბედი არ სწყალობდა. „რომაში“ გადასვლის შემდეგ მან ისეთი უმძიმესი ტრავმა მიიღო, რომ ამ სახელოვან კლუბში ფაქტობრივად არც უთამაშია. ფეხბურთისათვის თავის დანებებასაც კი აპირებდა, მაგრამ საოცარი შეუპოვრობა გამოიჩინა, განიკურნა და ახლა სალონიკის პაოკში თამაშობს.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ომარ თეთრაძის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

ომარ თეთრაძე

● ***როდის გაჩნდა ბერძნულ პაოკთან კონტრაქტის დადების შესაძლებლობა?***

— ეს ბერძნების წინადადებით მოხდა. იგი ისე მივიღე, რომ არც კი მიფიქრია. 4 აგვისტოს დავთანხმდი. 5-ში საბერძნეთში ჩავფრინდი. 16 აგვისტოს კონტრაქტს მოვაწერე ხელი.

● ***რატომ გამოეხმაურეთ ასე სწრაფად ბერძნების წინადადებას?***

— „უდინეზეში“ რომ ვვარჯიშობდი, კლუბის გადაწყვეტილებისათვის აგვისტოს ბოლომდე უნდა მეცადა. იტალიურ ხელმძღვანელობასთან ვერც კი მოვასწარი საუბარი ჩემი თამაშის პირობების შესახებ. არც ის ვიცი, რას მთავაზობდნენ. კლუბს თავისი ვერდიქტი ჩემპიონატის დაწყებამდე, ერთი კვირით ადრე გამოაქვს ხოლმე. ასეთ ვითარებაში იგი თავის პირობებს მიკარნახებდა, მე კი, რაღა დამრჩენოდა, ნებისმიერ მოთხოვნაზე უნდა დავთანხმებოდი. უარის შემთხვევაში იმის დროც აღარ მრჩებოდა, რომ სხვა კლუბი მომეძებნა, რისკის გაწევა კი არ მინდოდა. კონტრაქტი პაოკ-თან დეკემბრამდე მაქვს. თუ ამ ხნის განმავლობაში კლუბთან რაიმე პრობლემა არ შემექმნა, კონტრაქტი კიდევ ნახევარი წლით გაგრძელდება ავტომატურად. დიდი როლი ჩემს გადაწყვეტილებაში იმანაც შეასრულა, რომ პაოკ-ი უეფას თასზე თამაშობს.

● ***არ ნანობთ, რომ იტალიის დატოვება მოგიხდათ? „რომაში“ ხომ დაახლოებით ორი წელი გაატარეთ.***

— გულახდილად უნდა გითხრათ, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. რა დასამალია, იტალიური ფეხბურთის დონე ბერძნულთან შედარებით გაცილებით მაღალია. მაგრამ უბედურება სწორედ ჩემმა დაშავებამ მომიტანა. არც ერთ გუნდს არ უნდოდა რისკის გაწევა და ჩემთან ხელშეკრულების დადება.

● ***რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე სალონიკმა რომის შემდეგ?***

— ძნელი სათქმელია. საქმე ის არის, რომ ქალაქში იშვიათად გავდივარ. დღეში ორი ვარჯიშია. სალონიკში ექსკურსიისათვის დრო აღარ რჩება.

● ***შეგიძლიათ ერთმანეთს „რომა“ და პაოკ-ი შეადაროთ?***

— ამ ორ კლუბს შორის უზარმაზარი განსხვავებაა, თითქმის ცა და დედამიწაა. პაოკ-ს კლასით „უდინეზეც“ აღემატება. სამწუხაროდ, იტალიის ჩემპიონატში თამაში სულ ცოტა ხანს მომიხდა. ძალიან საწყენია, რომ ეს ტრავმა 27 წლისამ მივიღე, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, დავუბრუნდები დიდ ფეხბურთს.

● ***შეეჩვიეთ ახალ კლუბს?***

— თანდათანობით ვეჩვევი, იმის მიუხედავად, რომ ენის პრობლემა მაქვს. ნორმალურად მიმიღეს, თუმცა არ შემიძლია მათთან საუბარი. მეხმარება მასაჟისტი, რომელმაც იცის რუსული, და ექიმი ფლობს იტალიურს. ისინი არიან დღეისათვის ჩემი თარჯიმნები. მთავარმა მწვრთნელმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

● ***საბერძნეთში იციან, რა ეროვნების ხართ?***

— დიახ, იციან, რომ ჩემი მშობლები ბერძნები არიან. გარდა ამისა, მე ხომ ბერძნული პასპორტი მაქვს. ახლა იგი ძალიან მეხმარება.

● ***პაოკ-ში ბევრი ლეგიონერია?***

— სულ ორი: ერთი ეგვიპტიდან არის, მეორე არგენტინელია.

● ***რაიმე მნიშვნელოვანი გადაბარგება ხომ არ მომხდარა?***

— „რამდენიმე დღის წინათ ნახევარმცველი გრიგორის გეორგატოსი „ოლიმპიკოსიდან“ მილანის „ინტერში“ გადავიდა. მოთამაშეებს არ უნდათ საბერძნეთში ჩამოსვლა. მუხლი რომ არ ამტკივნოდა, რა თქმა უნდა, აპენინებზე დავრჩებოდი.

● ***რა ტაქტიკურ სქემას მისდევს თქვენი ახალი კლუბი?***

— მთავარი მწვრთნელი არი ჰაანი ხაზზე თამაშის მიმდევარია. მარჯვენა მცველად ვთამაშობ. მწვრთნელი დიდ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ მომზადებას. როგორც წესი, დილით უმთავრესად ფიზიკური, ძალისმიერი ვარჯიშია, საღამოს — სათამაშო. ძნელია ვინმეს გამორჩევა, ყველანი ძალიან ცდილობენ. ჩემპიონატი 12 სექტემბერს დაიწყება, მანამდე, ჩავატარებთ მატჩებს საბერძნეთის თასზე.

● ***ძნელი იქნება ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა?***

— ცხადია, მე ხომ ორწელიწადნახევარი არ მითამაშია. ისე კი, ყველაფერს გავაკეთებ, ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად.

● ***ვინ ითვლება ფავორიტად ჩემპიონატის დაწყების წინ?***

— ასეთებად ტრადიციულად ოთხი გუნდი ითვლება, რომლებიც მრავალი წელია იბრძვიან საპრიზო ადგილებისათვის: „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი), ათენის „პანათინაიკოსი და აეკ-ი, აგრეთვე სალონიკის პაოკ-ი.

● ***საბერძნეთში ვინმე რუსი ლეგიონერი ხომ არ შეგხვედრიათ?***

— მხოლოდ ოლეგ პროტასოვი, მას სალონიკში ჯერ კიდევ კონტრაქტის ხელმოწერამდე, შევხვდი. მისი კლუბი „პანილიაკოსი“ საკონტროლო შეხვედრას მართავდა. საბერძნეთში საქმე მშვენივრად აქვს. ქვეყანას შეეჩვია, ბინა შეიძინა. ალბათ, აქ უნდა საცხოვრებლად დარჩენა.

● ***რამ შეგიწყოთ ხელი დაბრუნებულიყავით დიდ ფეხბურთში?***

— ძალიან ხშირად ვფიქრობდი ფეხბურთის სამუდამოდ მიტოვებას. რამდენჯერმე დავუბრუნდი მინდორს, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. მაინც მქონდა ჩემი ძალების რწმენა. საბოლოო გადაწყვეტილება იანვარში მივიღე: დამერღვია კონტრაქტი „რომასთან“ და სერიოზულად მეზრუნა ჩემს ფიზიკურ რეაბილიტაციაზე. პრაქტიკულად ყველაფერი ნულიდან დავიწყე. სხვა გამოსავალი არ იყო.

● ***ხომ არ არის გამორიცხული, რომ კვლავ მოხვდეთ რუსეთის ეროვნულ ნაკრებში?***

— ახლა ჩემი მთავარი ამოცანა ფეხზე დადგომაა, მოსამზადებელი პერიოდის წარმატებით გავლა. შემდეგ ძალღონეს არ დავიშურებ, რომ კვლავ მოვხვდე რუსეთის ნაკრებში. ძალიან მინდოდა მეთამაშა გადამწყვეტ მატჩში უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ.

● ***რომელიმე რუსულმა კლუბმა რომ მოგიწვიოთ, მიიღებთ წინადადებას?***

— ჩემი ამოცანა მაინც ევროპაში დარჩენა იყო, მინდა ჩემს თავსაც და ექიმებსაც დავუმტკიცო, რომ ისინი მოტყუვდნენ რეაბილიტაციის დროს. მე ხომ პრაქტიკულად ჩამომწერეს. მაგრამ თუ რუსეთიდან რეალურ წინადადებას მივიღებ, აუცილებლად დავთანხმდები.

● ***ვალერი გაზაევს ხომ არ შემოუთავაზებია თქვენთვის „ალანიაში“ დაბრუნება?***

— არა.

● ***კმაყოფილი ხართ ყოფითი პირობებით, რომლებიც პაოკ-ში შეგიქმნეს?***

— დიახ, კმაყოფილი ვარ. ახლა დროებით სასტუმროში ვცხოვრობ; კლუბმა მანქანა მომცა. ამ ცოტა ხანში ცოლი ჩამოვა, ბინაზე გადავალთ. პაოკ-ის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს, თავი კარგად ვიგრძნო.

● ***ბევრი გულშემატკივარი ესწრება პაოკ-ის ვარჯიშს?***

— ვარჯიშის დროს გულშემატკივრებს დასწრებას არავინ უშლის, საშუალოდ, დაახლოებით 50 კაცი მოდის. ქუჩაში მცნობენ, ხელებს მიქნევენ. როგორც პაოკ-ის ფეხბურთელებმა მითხრეს, კლუბის ფანატები მაღალ შედეგებს ელიან.

● ***აქ იტალიაზე ნაკლები გულშემატკივრები არ არიან?***

— რა თქმა უნდა. ათენში, უბრალოდ, გიჟი გულშემატკივრები არიან. ნებისმიერი გუნდი, რომელიც „ოლიმპიაკოსთან“ სათამაშოდ ჩადის, ისე გრძნობს თავს, რომ მატჩამდე, უკვე დამარცხებულია“, ისეთი ძლიერია გულშემატკივრების ზეწოლა.

● ***თქვენ მზადა ხართ ასეთი „გულთბილი“ მიღებისათვის?***

— „რომას“ შემდეგ რაღა უნდა მიკვირდეს. რომში ამხანაგურ მატჩებზეც კი 40-50 ათასი კაცი მოდის.

● ***როგორ მიიღო თქვენი ჩასვლა ადგილობრივმა პრესამ?***

— დადებითად. ჯერ კიდევ 1992 წელს ჩემთან შესახვედრად მოსკოვის „დინამოში“ ჩამოვიდა „ოლიმპიაკოსის“ მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი. ერთი წლის შემდეგ კონტრაქტი ათენის აეკმაც შემომთავაზა. ბერძნებს მაშინაც ვაინტერესებდი, მაგრამ მოსკოვის „დინამოსთან“ მქონდა ხელშეკრულება.

ფედოტოვიდან სტრელცოვამდე

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ყველაზე უკეთესი შედეგები, თუ ერთ მატჩში საშუალოდ გატანილ გოლების რაოდენობას ვიგულისხმებთ, **გრიგორი ფედოტოვს** ჰქონდა. იგი 1937-1949 წლებში ჯერ მოსკოვის „მეტალურგში“ გამოდიოდა, შემდეგ კი ცსკა-ში და 163 მატჩში 129 გოლი გაიტანა (0,79 %).

ვალენტინ ივანოვი 1952-1966 წლებში მხოლოდ ერთ კლუბში — მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდა. 287 კალენდარულ მატჩში 214 გოლი გაიტანა (0,75 %)

სერგეი სოლოვიოვი 1939-1952 წლებში ჯერ ლენინგრადის „დინამოში“ გამოდიოდა, კარიერის ძირითადი ნაწილი კი მოსკოვის „სპარტაკში“ გაატარა. 217 მატჩში 137 გოლი გაიტანა (0,63 %).

ალექსანდრ პონომარიოვი 1936-1952 წლებში თამაშობდა სტალინგრადის „ტრაქტორში“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და დონეცკის „შახტიორში“, 240 მატჩში 145 გოლი გაიტანა (0,60 %).

ოლეგ პროტასოვი ახლაც თამაშობს. იგი საბერძნეთში გამოდიოდა, სადაც იაპონიაში ხანმოკლე გამოსვლების შემდეგ დაბრუნდა. იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ორ კლუბში გამოდიოდა: ჯერ დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა“, ხოლო შემდეგ კიევის „დინამოში“. ორ გუნდში 218 მატჩი გამართა და 125 გოლი გაიტანა (0,57 %).

ქართული ფეხბურთის ლეგენდას **ბორის პაიჭაძეს** რუმინეთში „ფეხბურთის კარუზო“ უწოდეს. ამ განუმეორებელი ოსტატის ვინმესთან შედარება წარსულის თუ თანამედროვე ფეხბურთელებთან საერთოდ შეუძლებელია. 1947 წელს მიღებული უმძიმესი ტრავმა რომ არა, მისი შედეგიანობა, საერთოდაც საუკეთესო, ცხადია, კიდევ უფრო მაღალი იქნებოდა. ბ. პაიჭაძე თბილისის „დინამოში“ 1936-1951 წლებში თამაშობდა. 190 მატჩში 105 გოლი გაიტანა (0.55 %).

სოხუმელი **ნიკიტა (მიკირტუმ) სიმონიანი** ჯერ მოსკოვის „კრილია სოვეტოვში“ თამაშობდა, შემდეგ კი მოსკოვის „სპარტაკში“ (1946-1959). 285 კალენდარულ მატჩში გაიტანა 142 გოლი (0,50 %).

ოლეგ ბლოხინი (1969-1987 წლებში კიევის „დინამოში“ თამაშობდა. 431 მატჩში 211 გოლი გაიტანა (0,49 %).

თავით თამაშის ოსტატი **ზაურ კალოევი** თბილისელებს კარგად ახსოვთ. იგი 1950-1958 წლებში ჯერ თბილისის „სპარტაკში“ გამოდიოდა, შემდეგ „დინამოში“, კარიერა კი მოსკოვის „ლოკომოტივში“ დაამთავრა. 116 გოლი 249 მატჩში (0,47 %) — ასეთია მისი შედეგი.

ოლეგ კოპაევი (მოსკოვის ცსკმო და დონის როსტოვის ასკ 1957-1968 წლებში) — 119 გოლი 259 მატჩში (0,46 %).

კონსტანტინ ბესკოვი (მოსკოვის „მეტალურგი“, შემდეგ მოსკოვის „დინამო“ 1938-1954 წლებში) 104 გოლი 231 მატჩში (0,45 %).

ედუარდ სტრელცოვი (მოსკოვის „ტორპედო“, 1954-1970 წლებში) 222 მატჩი, 100 გოლი (0,45 %).

ცნობები ფლეშინგ მიდოუდან

აშშ–ს ღია პირველობა

აშშ-ს ღია პირველობამ, ანუ, როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, ფლეშინგ მიდოუმ უკვე საკმაო სიურპრიზები შემოგვთავაზა. პიტ სამპრასის მონაწილეობაზე უარს და პატრიკ რაფტერის ტრავმას უკვე პირველ წრეშივე ინგლისელ ტიმ ჰენმანის დამარცხება მოჰყვა ნაკლებად ცნობილ არგენტინელ გილიერმო კანასთან და ესპანელ ალექს კორეტჰას ასევე მოულოდნელი წაგება უცნობ ავსტრალიელ უეინ არტურსთან. ოდესღაც მსოფლიოში უძლიერესი ჯიმ კურიეც (აშშ) ასევე პირველივე წრიდან გამოეთიშა შეჯიბრებას ჩეხ ტისლავ დოსედელთან წაგების შემდეგ.

პირველი წრის შემდეგ, ექსპერტების აზრით, მთავარი ფავორიტები გახდნენ ანდრე აგასი (აშშ) და ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი). აგასიმ იოლად მიუგო შვედ ნიკლას კულტის, კაფელნიკოვს კი ოთხი სეტი დასჭირდა ესპანელ ალბერტო მარტინთან გასამარჯვებლად. ამ ორმა უძლიერესმა მონაწილემ მომდევნო ორ-ორი შეხვედრაც მოიგო. მათ გარდა, მიმომხილველები აღნიშნავენ ჩილელ მარსელო რიოსის ძალიან კარგ მზადყოფნასაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ბოლო თვეებში მაინცდამაინც არა ბრწყინავდა.

ქალთა ასპარეზობაში რაიმე დიდი მოულოდნელობა არ მომხდარა. ფიქრობენ, რომ მარტინა ჰინგისისა (შვეიცარია) და ლინდსეი დევენპორტის (აშშ) უკვე ტრადიციად ქცეულ დავაში შეიძლება ჩაერიოს ვენუს უილიამსიც (აშშ). ჰინგისმა პირველ და მეორე წრეებში სრულიად იოლად მოუგო კვეტა ჰრდლიკოვას (ჩეხეთი) და სარა პიტკოვსკის (საფრანგეთი). როგორც გახსოვთ, უიმბლდონში დიდი სიურპრიზი შემოგვთავაზა 16 წლის ავსტრალიელმა ელენა დოკიჩმა, რომელმაც პირველ წრეში ჰინგისი დაამარცხა. ამჯერად იგი თვით გამოეთიშა ასპარეზობას პირველივე წრეში, წააგო მრავალნაცად არანტა სანჩეს-ვიკარიოსთან (ესპანეთი). ეს გოგონამ იმით ახსნა, რომ ასაკის გამო მთელ რიგ შეჯიბრებებში არ უშვებენ და ამდენად, თამაშის სათანადო პრაქტიკა არა აქვს. ყურადღება მიიპყრო ვინუს უილიამსის განცხადებამ, რომ როცა კარგ საბრძოლო მზადყოფნაშია, საერთოდ, ვერავინ დაამარცხებს.

მარსელო რიოსი

კვირას ნიუ-იორკში წვიმდა, მაგრამ შეხვედრების უმეტესობის ჩატარება მაინც მოხერხდა. ბარბარა შეტმა (ავსტრია) იშვიათი ანგარიშით 6:0, 6:1. დაამარცხა ელენა ლიხოვცევა (რუსეთი), ხოლო ანკე ჰუბერმა (გერმანია) ასპარეზობიდან გამოთიშა ამალია მორისმო (საფრანგეთი). მარტინა ჰინგისმა დაამარცხა არანტა სანჩეს-ვიკარიო.

დიდი ინტერესით მოელიან მეოთხე წრის მატჩს კაფელნიკოვსა და ანდრეი მედვედევს (უკრაინა) შორის.

აგასი

კაფელნიკოვი

„ტოტო-ლოტო“ – მილიონთა თამაში!

5 სექტემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, [illegible] „სუპერ-7“ ტირაჟის ოცდამეთხუთმეტე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
1. 14. 17. 23. 32. 33.
3 ციფრი – 1.60 ლარი.
4 ციფრი – 12.40 ლარი.
5 ციფრი – 1 757 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

„ჯეკ-პოტი“ 41 243 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **6. 9. 7. 3. 3. 6. 0.**
შემდეგი ტირაჟი შედგება 12 სექტემბერს.

მომენტალური ლატარიების „გოლი-98“-ის და „ოლიმპის“, ლატარია „ლოტო 6/42“-დან მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას, 26 სექტემბრის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება და ლატარიის ბილეთების კომპლექტები წილად ხვდათ: ლატარია „ოლიმპში“ – მზია დემურიშვილს (თბილისი), თორნიკე სარალიძეს. ლატარია „გოლი 98“-ში – ვიკა კაზაროვას (თბილისი), რომეო ჭილაშვილს (ახმეტა). „ლოტო 6/42“-დან (34-ე ტირაჟის მოუგებელი ბილეთები) – 30012 02011 რუსთავი, 43001 45405 საგარეჯო. ლატარია „ლოტო 6/42“-დან მოყვარულებს შეგახსენებთ, რომ თქვენ აღარ დაგჭირდებათ მოუგებელი ბილეთების გამოგზავნა, რადგანაც გათამაშება განხორციელდება კომპიუტერის გამოყენებით.

„ტოტო-ლოტო“ ფეხბურთის გულშემატკივრებს სთავაზობს სიახლეს, 18-19 სექტემბერს გაიმართება ახალი საფეხბურთო ლატარიის „ტოტო-ფეხბურთის“ პირველი გათამაშება. თამაშის წესების გაცნობა და ბილეთების შეძენა შეგიძლიათ „ტოტო-ლოტოს“ სარეალიზაციო პუნქტებში – თბილისში 9 სექტემბერიდან, რეგიონებში 12 სექტემბრიდან.

გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

ფიდელ კასტრო ბრაზობს

მას შემდეგ, რაც კუბელი სპორტსმენები, კერძოდ, მძლეოსნები დოპინგის მიღებაში ამხილეს, საჯარო გამოსვლების დაუცხრომელმა ტრიბუნმა და ქვეყნის ბელადმა, ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ ყველაფერი ეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოინებია და მიმართულია სოციალისტური კუბის წინააღმდეგ. მის გამოსვლაში არაორაზროვნად იკითხება ქვეტექსტი იმის თაობაზე, რომ სოკ-მა უნდა შეწყვიტოს კუბელთა შევიწროება და აღიაროს თავისი შეცდომები, ე.ი. გაამართლოს კუბელი სპორტსმენები.

შეგახსენებთ, რომ „თავისუფლების კუნძულზე“ აღშფოთების ტალღა განსაკუთრებით მას შემდეგ აგორდა, რაც მძლეოსანთა მსოფლიო VII ჩემპიონატზე სახელგანთქმული სიმაღლეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორი სწორედ ანაბოლიკების მოხმარებისთვის არ დაუშვეს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე
7-9 სექტემბერი

7 სექტემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. სუპერ მატჩი (20.00), კავკასია. „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30); ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის ჩემპიონატი (13.45), „განვლილი ზაფხულის ფინალები“ (16.00, 23.50), ***НТВ плюс спорт.*** „წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (11.40, 17.40), ჩოგბურთი. აშშ-ს ღია ჩემპიონატი (12.40, 20.00, 1.30), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (23.00), ***ESPN.*** „ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები: სომხეთი – რუსეთი (11.00), რუმინეთი – სლოვენია (17.00). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის საკლასიფიკაციო მატჩები (1.30).

8 სექტემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩი: საქართველო – ლატვია (18.55), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ОРТ.*** ფეხბურთი. ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩი. ანდორა – რუსეთი (22.40). ***НТВ плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (22.55), ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (1.25), ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია ჩემპიონატი (11.40, 20.00), მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (17.25), ***ESPN.*** ფეხბურთი:

ევრო-2000-ის საკლასიფიკაციო მატჩები: თურქეთი – ჩრდ. ირლანდია (16.00), ლიტვა – ჩეხეთი (18.00), ***EUROSPORT.*** „ფეხბურთი: ევრო-2000-ის საკლასიფიკაციო მატჩები (12.00, 1.30).

9 სექტემბერი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. კავკასია. „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30) ***НТВ плюс футбол.*** ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩები (13.15, 15.30, 19.20, 21.05, 23.30), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (15.00), „განვლილი ზაფხულის ფინალები“ კონფედერაციის თასი (17.15), ***НТВ плюс спорт.*** წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი (11.40, 21.10), ჩოგბურთი: აშშ-ს ღია ჩემპიონატი (12.40, 22.25), ***ESPN.*** ფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ყოველკვირეული მიმოხილვა (15.00), ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩები: თურქეთი – მოლდოვა (18.00), ისრაელი – კვიპროსი (21.00), ***EUROSPORT.*** წყალთხილამურები. მსოფლიოს თასი (11.30), ფეხბურთი. ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩები (15.00, 20.00, 0.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიოს თასი (17.30), კრივი, საერთაშორისო შეჯიბრება (2.00).

მსოფლიო კალათბურთს ჯერ არ ახსოვს

რუსეთელ კალათბურთელს ვლადიმერ ჟიგილის (მას ქართველი გულშემატკივრები მოსკოვის „დინამოში“ თამაშით იცნობენ) სპორტული დღეგრძელობის ყველა რეკორდის მოხსნა გადაუწყვეტია.

მართალია, იგი ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე დივიზიონის სურგუტის კლუბ „უნივერსიტეტში“ გამოდის, 46 წლის ვეტერანი დათანხმდა ამავე კლუბში 99/2000 წლების სეზონი გაატაროს, რომელიც 30-ე იქნება მის პროფესიულ კარიერაში. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი შესანიშნავ სპორტულ ფორმაშია, რაზეც ნათლად მეტყველებს სტატისტიკა. მას 98/99 წლების უმაღლესი ლიგის პირველობის 26 მატჩში საშუალოდ 23,3 ქულა „მოჰქონდა“ გუნდის ყულაბაში (მეორე მაჩვენებელია ჩემპიონატში), ბურთის ფარიდან მოხსნა 8,9 (მე-3 ადგილი)!

არანაკლებ საინტერესოა ისიც, რომ მომავალ სეზონში შესაძლოა კიდევ ერთი ვლადიმირ ჟიგილი – ცნობილი ცენტრფორვარდის ვაჟი გამოჩნდეს „უნივერსიტეტის“ რიგებში. 18 წლის ფორვარდი ადრე მოსკოვის „სპარტაკში“ თამაშობდა, მსოფლიოს ჭაბუკთა თამაშების ვერცხლის პრიზიორია. მსოფლიოს კალათბურთს არ ახსოვს მამა და შვილს რომ ერთ გუნდში ეთამაშოს.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა სამძიმარს უცხადებს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარეს ბერდია გუგავას მამის
ჯოკია გუგავას
გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტსაზოგადოება „მართვე“ თანაგრძნობას უცხადებს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯომარეს ბერდია გუგავას მამის
ჯოკია გუგავას
გარდაცვალების გამო.

კროსვორდი



თარაზულად: 3. წარსულში გამოჩენილი ინგლისელი მეკარე. 8. „რასინგის“ თავდამსხმელი. 11. რუსი მოფარიკავე ქალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში. 14-15. ჩილეს ნაკრების თავდამსხმელი. 16.ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი. 17-18. ქართველი დიდოსტატი. 19. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი. 20. „რეალის“ ფრანგი თავდამსხმელი. 21.წარსულში გამოჩენილი ურუგვაელი მეკარე. 25.„ფიორენტინის“ ფორვარდი. 27. რუსი დიდოსტატი. 29. „ვალენსიას“ რუმინელი ფორვარდი. 32. „მიდლსბროს“ ნახევარმცველი. 33. რუსი მოცურავე ქალი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი საბჭოთა მოცურავეებს შორის. 34. ლეგენდარული უნგრელი მოკრივე. „ფორმულა-1“-ის გამოჩენილი ბრაზილიელი პილოტი. 37. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი. 40. გამოჩენილი რუსი ჰოკეისტი და მწვრთნელი. 45. ქართველი მოჭიდავე, ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი მძიმე წონაში. 46. გერმანელი მოცურავე ქალი, მონრეალის ოლიმპიადის ოთხგზის ჩემპიონი. 47. „პარმას“ არგენტინელი ფეხბურთელი. 48-49.. ქართველი მოჭიდავე, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. 50-51. ცნობილი ქართველი მეცნიერი, ტანმოვარჯიშე და მთამსვლელი. 52. იტალიელი თავდამსხმელი, ევროპის 1968 წლის ჩემპიონი. 55. ქართველი მოჭიდავე. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. 56. ქართველი მოკრივე. 57. ესპანელი თავდამსხმელი, ევროპის 1964 წლის ჩემპიონი.

შვეულად: 1. თურქეთის საფეხბურთო კლუბი. 2. წარსულში გამოჩენილი შვედი ჩოგბურთელი. 4. წარსულში გამოჩენილი გერმანელი მწვრთნელი ფეხბურთში.
5. უმაღლესი კვალიფიკაციის მოჭადრაკე. 6. არგენტინის ნაკრების ყოფილი მეკარე, მსოფლიოს 1990 წლის ვიცე-ჩემპიონი. 7. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი 1979-87 წლებში. 9. რუსი ტანმოვარჯიშე, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 10-23. წარსულში ცნობილი ამერიკელი სიმაღლეზე მხტომელი. 12-24. მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. 13. მოსკოვის „ტორპედოს“ და სსრკ ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი. 22. რუსი ჩოგბურთელი. 25. პარაგვაის საფეხბურთო კლუბი. 26. მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი. 27. შვეიცარიელი დიდოსტატი. 28. ჰოლანდიელი მცველი, მსოფლიოს 1974 და 1978 წლების ვიცე-ჩემპიონი. 30. ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტი. 31. წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი. 34. ევროპის პირველი ჩემპიონატის ფინალურ მატჩში გამარჯვების გოლის ავტორი. 36. ერევნის „არარატის“ და სსრკ ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი. 38. ცნობილი კოლუმბიელი ფორვარდი. 39. რუსი ძალოსანი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ზემძიმე წონით კატეგორიაში. 41. ბელგიის ნაკრების თავდამსხმელი 1977-91 წლებში. 42. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი. 43. თაიგულის შექმნის ხელოვნება. 44. ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფეხბურთში. 53. „ჩელსის“ ფრანგი მცველი. 54. ამერიკელი ჩოგბურთელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. პაპი, 7. მეხიკო, 8. კერპი, 9. ტაიმი, 11. აია, 13. აჯოევი, 15. ვეა, 16. ბალი, 17. რალი, 19. თარჯი, 20. ლამა, 21. გენტი, 26. აბაშიძე, 27. ავსტრალია, 28. კანიჯა, 29. ილიე; **შვეულად:** 1. ხმელიძე, 2. ფინტი, 3. პორტუ, 4. პატი, 5. ორმო, 6. ვიერი, 8. კიი, 10. მუჯირი, 12. მართვე, 14. „ვალენსია“, 18. კაჭარავა, 22. ისელიძე, 23. ლახტი, 24. რბოლა, 25. აგასი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

საქართველოს განათლების სამინისტროს ცენტრალური სასპორტო სკოლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი თანამშრომელი
ჯოკია გუგავა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი“ თანაგრძნობას უცხადებს ბერდია გუგავას მამის
ჯოკია გუგავას
გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

იოსებ კრიხელი
„შახ-აქტივ“ 1987 წ.



შამათი 9 სვლაში

№ 67-ში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. მd5 მd3 2.კa7 კa1
3. მb6 მb2 4.მ:d7+კ:d7 5.კd4x.

თბილისი. 380008. მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე